ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 14 ოქტომბერი 2004 №239 (2260) ფასი 50 თეთრი


# თამაში ჩვენი იყო არ ითვლება 0:2



REUTERS

## ჯერ ყველაფერი წინაა



ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ იუბილარი უკრაინელები

## მსაჯებზე გავიდნენ

# თავი არ დახაროთ!



REUTERS ლვოვიდან

უკრაინის ნახევარზე მეტი ანდრეი შევჩენკო

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ლვოვი. 13 ოქტომბერი. 20.15 საათი. უკრაინა. 30 000 (ტევადობა 30 000)

## უკრაინა 2:0 საქართველო

1:0 ბელიკი (12), 2:0 შევჩენკო (80)

1 შოვკოვსკი

მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი

5 ეზერსკი · 3 ფიოდოროვი · 2 ნესმაჩნი

14 გუსინი · 4 ტიმოშჩუკი

9 გუსევი · 6 რუსოლი

10 ვორონინი

11 ბელიკი · 7 შევჩენკო

11 არველაძე · 9 იაშვილი

10 ჯამარაული

7 ცქიტიშვილი · 16 ასათიანი

17 კობიაშვილი · 2 მჟავანაძე

13 ხიზანიშვილი · 6 სალუქვაძე · 3 ხიზანეიშვილი

მწვრთნელი ალენ ჟირესი

1 დევაძე

შეცვლა: ვორონინი – 8. შელაევი (39), ეზერსკი – 13. ჩეჩერი (46), მჟავანაძე – 8. ბურდული (46), შელაევი – 18. ზაკარლიუკა (64), ჯამარაული – 18. დემეტრაძე (85)

გაფრთხილება: არველაძე (63), ბურდული (84)

მსაჯები: ვოლფგანგ შტარკი; იან-ჰენდრიკ სალვერი, ფოლკერ ვეზელი; პეტერ შიპელი (ყველა გერმანია)

ფიფას დელეგატი: ტერი კესი (უელსი)

ფიფას ინსპექტორი: ვილი გუვერტსი (ბელგია)

კობა ინასარიძე ლვოვიდან

გაიხსენეთ დიდი ვალერი ლობანოვსკი, მისი კიევის „დინამო“, საბჭოთა კავშირის თუ უკრაინის ნაკრებები თამაშის ხარისხით არასდროს გამოირჩეოდნენ, თუმც ლობანოვსკი იმიტომ იყო დიდი მწვრთნელი, რომ ყოველთვის შედეგი ჰქონდა. დღეს შედეგი, აგერ, ტაბლოზე წერია, უკრაინამ მოიგო და ბედნიერი ვარ. ოლეგ ბლოხინი კი ძალიან ძლიერი მწვრთნელია — თქვა ნამატჩევს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა. გინდა, არ გინდა, მას უნდა დაეთანხმო. როგორც ყოველთვის, უკრაინის ნაკრებს დიდად სანახაობრივი ფეხბურთი არც გუშინ უთამაშია, თუმც სასურველი შედეგი კი მიიღო.

მოკლედ, დავიწყოთ: უკრაინა — საქართველო 2:0. ჩვენმა ნაკრებმა წააგო, იბრძოლა, იომა, მაგრამ წააგო. ვის არ წაუგია, როცა მოგების გემო იცი, ღირსეული წაგებაც უნდა შეგეძლოს. საქართველოს ნაკრებმა, სამწუხაროდ, მაგრამ ღირსეულად წააგო და ქართველ ფეხბურთელებს იმის უფლებაც ჰქონდათ, მსაჯის საფინალო სასტვენის მერე ტრიბუნასთან მისულიყვნენ და უკრაინელი ქომაგისგან დიდი ტაშიც მიეღოთ.

და ისევ, მატჩის შემდეგ ნათქვამი, ამჯერად ოლეგ ბლოხინის სიტყვები პრესკონფერენციაზე:

— ჩვენთვის მთავარი შედეგია. შედეგი საუცხოოა, თამაშის ხარისხი კი ბერძნებთან ფრის მერე აღარ მაინტერესებდა, მადლობა ჩემს გუნდს.

რაც თავი მახსოვს, უკრაინის ნაკრები თუ ამ ქვეყნის ფლაგმანი კიევის „დინამო“ სულ ასეთ ფეხბურთს თამაშობს — ირბინე და მომენტი გამოიყენე.

უკრაინამ გუშინ ძალიან ბევრი ირბინა და მომენტებიც, ქართველებისგან განსხვავებით, გამოიყენა. ჩვენებმაც ბევრი, შეიძლება ითქვას, უჩვეულოდ ბევრიც ირბინეს, თანაც ჯიგრიანად ირბინეს, მაგრამ, მაინც ვთქვათ, ღირსეულმა მოიგო. ალენ ჟირესის გუნდს ის აკლდა, რაც ბლოხინისას ჰქონდა. რა იყო ეს? ვერ გეტყვით და იქნებ უკრაინელი ვარსკვლავის ანდრეი შევჩენკოს სიტყვები იყოს ამის პასუხი:

— დიდი მადლობა ლვოვს, ასეთი ქომაგი იშვიათდ მინახავს. შემიძლია ვთქვა, რომ ეს თამაში ქომაგმა მოიგო, გმადლობთ!

სამწუხაროდ, ანდრეი შევჩენკოსთან საუბრის გაგრძელება ვერც მე მოვახერხე და ვერც ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა. შევჩენკო ამათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის საფლავიდან ალმაშენებელი რომ წამოდგეს.

ესეც სამწუხაროა. ანდრეი შევჩენკოს ქართველმა მცველებმა მთელი 80 წუთი ფეხი არ გაანძრევინეს, ზურაბ ხიზანიშვილმა კი სულაც ბურთი არ მიალებინა, მან კი თავისი კლასი მაინც დაამტკიცა, მოიქნია მარჯვენა და გაიტანა.

ის გოლი გაიტანა, რომელმაც უკრაინისთვის მატჩი მოიგო.

ამ თამაშის ტელერეპორტაჟს უკრაინის ორი ტელეარხი გადასცემდა, საქართველოში კი „რუსთავი 2“. ეკრანზე კი, ალბათ, მხოლოდ მოედანი და ფეხბურთელები ჩანდნენ, ჩანდა ტაბლოც, 1:0, 2:0. თუმც, ცხადია, არ ჩანდა ის განწყობა, რაც ტრიბუნაზე, უბრალო გულშემატკივრებს შორის იყო: „ქართველებო, თქვენ ჩვენი მეგობრები ხართ“, „ქართველებო, გვიყვარხართ“, „ქართველებო, გმადლობთ, რომ ლვოვში ჩამოხვედით“ — ეს იმ ხალხის სიტყვებია, რომლებიც თავს ნაღდ უკრაინელებად თვლიან და დასავლეთ უკრაინელების რადიკალიზმზე აქ, უკრაინაში, ყველამ კარგად იცის...

საქართველოს ნაკრებმა გოლი მაშინ გაუშვა, როცა თითქოს იქით უნდა გაეტანა. და ესეც მცველების უპატიებელი შეცდომის შედეგად — კუთხურიდან ლევერკუზენელი ვორონინის დაბალზე ჩაწოდებული ბურთი მთლად კარის ხაზზე არა, მაგრამ სადღაც იქ კი მიგორავდა, მოგერიება კი ვერც მეკარემ შეძლო, ვერც მცველებმა და ბელიკმაც ისარგებლა — 1:0.

მეორე გოლი კი... ტყუილად როდია შევჩენკო ვარსკვლავი — მთელი მატჩი რომ არაფერი უკეთებია, საჭირო მომენტში საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და თამაშიც, ფაქტობრივად, დაამთავრა.

„ჩვენ მოვიგეთ, მაგრამ ფრე უფრო ლოგიკური შედეგი იქნებოდა“, „ყოჩაღ, საქართველო“ — ასეთი სიტყვებით გააცილეს საქართველოს ნაკრები და მოდით, არც ჩვენ დავაკლოთ და ვთქვათ — ვის არ წაუგია. კარგია, სასიამოვნოა ის, რომ ქართველები, რომლებიც აქ, ლვოვში, ისედაც ძალიან პატივცემულები ვართ, გუშინდელი მატჩის შემდეგ ლვოვში, უკრაინის გულში, კიდევ უფრო დაფასდნენ, დაფასდნენ იმიტომ, რომ ნაღდად, ვაჟკაცურად ითამაშეს...

...ვერ ვიტყვით, რომ ნამატჩევს ლვოვში დიდი ზეიმი იყო, მაგრამ არც უამისობაა. წარმოიდგინეთ თბილისური საღამო და ქართველებისგან დამარცხებული რომელიმე კარგი გუნდი. იყო დროშები, იყო შეძახილები, იყო პატრიოტული ლოზუნგები... მაგრამ არც ერთი სიტყვა ქართველების შეურაცხმყოფელი...

...საკვირველი იყო ადგილობრივი ჟიურის გადაწყვეტილება. საქართველოს ნაკრებიდან შოთა არველაძე მეტნაკლებად საუკეთესო თუ იყო, უკრაინელთაგან რჩეული ანდრეი შევჩენკო ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. ჩემთვის რომ ეკითხათ, საუკეთესოდ ანდრეი გუსინს დავასახელებდი და ვფიქრობ, მოდავეც ბევრი არ მეყოლებოდა.

შევჩენკო? დიდი ფეხბურთელია, ავტორიტეტია მოედანზე, მით უმეტეს, როცა სანაკრებო მატჩია, მაგრამ, აშკარაა, მას ნაკრები უკვე „მილანზე“ ნაკლებად აინტერესებს...



REUTERS ლვოვიდან

მალხაზ ასათიანი და ანდრეი ვორონინი

# პრესკონფერენცია





*ოლეგ ბლოხინი:* საქართველოს ნაკრების თურქეთთან და ალბანეთთან მატჩები ნანახი მქონდა და მიხარია, რომ ასეთი ძლიერი გუნდი დღეს დავამარცხეთ. მადლობა ფეხბურთელებს, რომლებმაც შესაძლებლობების ზღვარზე ითამაშეს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ მატჩმა ლვოვში კოლოსალური ინტერესი გამოიწვია.

...ისეთი თამაში იყო, შეგვეძლო, 0:2-იც წაგვეგო. საბედნიეროდ, ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდა. ჩემი ფეხბურთელები დღეს გმირები არიან, ყოჩაღ.

...შესვენებისას ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ შუა ხაზში უფრო ყურადღებით ყოფილიყვნენ. თითოეულ მცველს თავისი დავალება მივეცი და მათ არცთუ ბევრი შეცდომა დაუშვეს.

...ლვოვში ყველაფერი კარგი იყო, გმადლობთ ჩინებული მასპინძლობისთვის, მაგრამ ესეც სათქმელია — მოედნის ხარისხი მოსაწესრიგებელია.

*ალენ ჟირესი:* ცუდ მოცეკვავეს რაღაც-რაღაცები უშლიდაო, ბლოხინის სიტყვები ამის თქმის საფუძველს მაძლევს. მოედანი რა შუაშია, საქართველომ წააგო.

...ყველაზე სამწუხარო ისაა, როცა კარგად ითამაშებ და წააგებ. არა უშავს, ყველაფერი წინაა.

...შევჩენკომ როგორ ითამაშა, ვერ გეტყვით, ჩემი გუნდის თამაშით ვიყავი დაკავებული, თუმც ფაქტია, ის დიდი ფეხბურთელია.

...გასახდელში ბოლოს მე შევედი და გუნდს დიდი მადლობა ვუთხარი, მათ ძალიან კარგად ითამაშეს. რა გაეწყობა, შედეგი სამწუხაროა, თუმც ჩინებულად ვითამაშეთ. ვისურვებდი, აწი პირიქით იყოს.

...ფეხბურთელებს პირდაპირ ვუთხარი — შეგიძლიათ თავი არ დახაროთ-მეთქი.

*გოჩა ჯამარაული:* ვფიქრობ, წასაგები თამაში არ იყო. ცოტა მსაჯობა, ცოტაც ჩვენი შეცდომები და...

*ზურაბ ხიზანიშვილი:* ვერ ვხვდები წაგების მიზეზს. წაგება კი არა, უნდა მოგვეგო...



REUTERS ლვოვიდან

ორი კაპიტანი: გოჩა ჯამარაული და ანდრეი შევჩენკო

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# დანიურ სახლში დიდი [illegible]
## ორი ქართული ამბავი კოპენჰაგენიდან

ჩვენი ჯგუფის სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ისე ჩაიხლართა, რომ ვისი ბედი ვის ხელშია, ვერ გაიგებ.

მოკლედ, წინასწარი ვარაუდი მართლდება და ძნელი წარმოსადგენია, ამ მხრივ რაიმე შეიცვალოს. ვარაუდში რას ვგულისხმობთ? რას და, თუ გახსოვთ, შესარჩევი ეტაპის წილისყრის დასრულებისთანავე ყველამ ერთხმად თქვა, ამ ჯგუფში ბლომად ქულები დაიკარგებაო. ასეცაა — აბა, ვინ იფიქრებდა, რომ...

თუმცა ნულარ ჩამოვთვლით, თორემ მოულოდნელი და გამოუცნობი შედეგი იმდენი იყო, რომ შესაძლოა, თემას ავცდეთ.

თემად კი ჩვენი მეტოქეების გუშინდელი მატჩები გვაქვს.

ჰოდა, რახან სენსაციებზე ვლაპარაკობდით, დანია—თურქეთის ჯახი აუცილებლად უნდა ვახსენოთ. არა მგონია, ვინმემ თქვას, თურქების არწაგება ლოგიკური და იოლად სავარაუდო იყოო. მით უმეტეს, ერსუნ იანალის გუნდს ჩვენც ვეთამაშეთ და დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. მეტიც, საქართველოს ცოტა ფხა რომ გამოეჩინა, ტრაპიზონიდან სამ ქულას წამოიღებდა.

მოკლედ, წუხელ ჩვენი ჯგუფის ფავორიტი დანიელები თურქებს შინ დაუზავდნენ — 1:1.

ანგარიში კახა კალაძის თანაკლუბელმა, იონ დალ ტომასონმა 27-ე წუთზე პენალტით გახსნა. ოთხ წუთში კი ქართული საქმე გაკეთდა — მასპინძლები ათნი დარჩნენ. დანიელთა ერთ-ერთი ლიდერი იესპერ გრონკიაერი მსაჯმა გააძევა და ნოემბერში თბილისში ვერ ითამაშებს.

თურქებმა მატჩის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ნიჰატ კაჰვეჩის გოლით გაათანაბრეს. ისე, მანამდე ნიჰათმა პენალტის გაფუჭებაც მოასწრო.

ჰო, კიდევ ერთი ქართული ამბავი: ეს პენალტი თომას ჰელვეგის უხეში თამაშის გამო დაინიშნა, რაც დანიელს გაფრთხილებად დაუჯდა. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ჰელვეგს ერთი ყვითელი პირველ ტურშიც ჰქონდა მიღებული, ჩვენთვის სასურველ დასკვნასაც გავაკეთებთ — ჰელვეგი გრონკიაერს შეუამხანაგდა.

ყაზახეთ — ალბანეთის მატჩზე კი სათქმელი ბევრიც არაფერია. სტუმრებმა ალბან ბუშის გვიანი გოლით დაამარცხეს „ევროპელი“ აზიელები და მესამე ადგილზე ავიდნენ.

**ბახა ფალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| თურქეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

### დანია 1:1 თურქეთი

1:0 ტომასონი (27პ), 1:1 ნიჰათი (70)

*ნიჰათმა ვერ გაიტანა პენალტი (59, აացილა)*

დანია: სკოვ-იენსენი, პოულსენი, პრისკე, კროლდრუპი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, იორგენსენი (ი. კრისტიანსენი 77), კ. პერესი (რომედალი 62)

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

თურქეთი: რუშთუ, თოლგა, სერვეთი (ნეჩატი 67), ემრე, უმით ოზატი, ოკანი, იბრაჰიმი (თუნჯაი 46), ჰუსეინი, კარადენიზი (სერქანი 83), ნიჰათი, ფათიჰი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაფრთხილება: სერვეთი (25), კროლდრუპი (50), ჰელვეგი (58), ფათიჰი (63), სერქანი (89)

გაძევება: გრონკიაერი (30)

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

41 331 მაყურებელი

### ყაზახეთი 0:1 ალბანეთი

0:1 ბუში (60)

ყაზახეთი: მორევი, ავდეევი, სმაკოვი (კამელოვი 53), დუბინსკი, ფამილცევი, ლიაპკინი, ბალტიევი, კარპოვიჩი (მ. შევჩენკო 62), ნიზოვცევი, ურაზბახტინი (ბულეშევი 56), ირისმეტოვი

მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, ჰასი, ა. ჰაჯი, ლალა, დრაგუშა (შკემბი 90), ჩანა, მუკა (ლიკი 53), შკელა, ტარე, ბუში (რაკლი 85)

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

გაფრთხილება: ბალტიევი (38), ლიკი (80)

მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)

25 000 მაყურებელი



REUTERS კოპენჰაგენიდან

იესპერ გრონკიაერი (№8) იონ დალ ტომასონს თბილისში ვერ ჩამოჰყვება



REUTERS ალმათიდან

ლორიკ ჩანას (№5) ალბანეთმა ყაზახეთიდან სამი ქულა წაიღო



# ზმანი-მანი მაგრად გეშლებათ

„კაპა“ კაპუცინებს არ ნიშნავს და ეს კაციც პარიზელი სულაც არ გახლავთ — მისი ამოცნობა ამუნიციით შეუძლებელია, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბედოვლათობითაა გამოწვეული — ეს ქუდიანი და კაპოსანი ოცდაერთწლამდელთა ნაკრების დამრიგებელი გოჩა ტყებუჩავაა.

ეროვნულის თავკაცი ❞ კი „ადიდასით“ იმოსება — ალენ ჟირესს „პუმას“ კომპლექტიდან თითქმის ვერაფერი მოერგო, „ბოტასებიც“ კი „ადიდასის“ აქვს, ხოლო ფედერაციას საქმე „პუმასთან“ დაუჭერია, მაგრამ ნაკრებებს „პუმათი“ რიგიანად ვერ ამარაგებს.

მოკლედ, ყველა გზა ფულისკენ მიდის და ფედერაციასაც ზმანი-MONEY-ის ამბავში მაგრად ეშლება.

# დაცემულ ეროვნულს სკამებს შეაშველებენ

გუშინ თბილისის პრემიერის ბიძინა ბრეგაძის განკარგულებით გადაწყდა, რომ ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება უახლოეს დღეებში დაიწყება. ბრეგაძის თქმით, საამისოდ მერიამ 250 ათასი ლარი უკვე გამოყო



[illegible] ფოტო

პირველ ეტაპზე „ეროვნულს“ ოდენ 10 ათასი სკამი შეემატება. თუმც სამუშაოები ამით არ დასრულდება.

როგორც გავიგეთ, ამ ათი ათასი სკამის დასამონტაჟებლად მერიამ შესაბამის სამსახურებს ერთთვიანი ვადა მისცა.

და კიდევ: ბრეგაძემ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაზეც გაამახვილა ყურადღება და ავეჯითა თუ სხვა საქონლით გარე ვაჭრობის აკრძალვას აპირებს.

მოკლედ, ყინული დაიძრა და გასაცოდავებულ „ეროვნულს“ იქნებ მართლა დაადგეს საშველი.

სამწუხარო კი ისა, რომ ამდენწლიანი უსაქმურობითა და უყურადღებობით შელანძული ეროვნული სტადიონი „დინამოს“ საუეფასთასოდ არ გამოადგება. როგორც თავიდანვე ითქვა, 21 ოქტომბერს უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში „დინამო“ ფრანგულ „სოშოს“ ვაკეში, „ლოკომოტივზე“ უმასპინძლებს.

**ბახა შალამბერიძე**

# ქეცბაია სანაკრებო ქინქლაძეს ნოემბრისთვის ამზადებს

თუ 90-იან წლებში საქართველოს ნაკრები რაღაცას ფაფხურობდა, ეს პირველ რიგში წამყვანი ფეხბურთელების ხარჯზე ხდებოდა და ვინ იყო საუკეთესო მაშინდელ ნაკრებში? ასეთი რეგალია თემურ ქეცბაიაზე ალალი უნდა იყოს. 36 წლის ქეცბაია ახლა კვიპროსული „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელია. თემურს გუშინ უკრაინა — საქართველოს მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე დავურეკეთ...



— საქართველოს ნაკრების ახლანდელ პოტენციას როგორ შეაფასებდით?

— უკრაინაზე არანაკლებ ძნელი თურქეთთან სტუმრად თამაშია და ჩვენმა ნაკრებმა თურქეთში სასურველ შედეგს მიაღწია. დისკვალიფიკაციის თუ ტრავმების გამო ამ მომენტისთვის გუნდში რამდენიმე ცვლილებაა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მოსაკლისებულ ფეხბურთელებს შემცვლელები მოეძებნებათ.

— უკრაინასთან კახა კალაძეც ვერ ითამაშებს. და მიგაჩნიათ, რომ საქართველოს იმდენი რესურსი აქვს, კალაძის თუ სხვა წამყვანი ფეხბურთელების სრულფასოვნად შეცვლა არ გაჭირდება?

— მაღალი დონის ფეხბურთელების შეცვლა საქართველოს კი არა, გაცილებით უფრო დიდი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრებშიც ჭირს.

— როგორ ფიქრობთ, არიან საქართველოს ნაკრებში დღესდღეობით ისეთი ფეხბურთელები, ლიდერობას რომ შეძლებენ?

— მთავარია, ლიდერები კი არა, გუნდი გყავდეს. თანამედროვე ფეხბურთში ლიდერებზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მთელი გუნდი მინდორზე სწორად მუშაობდეს. ადრე საქართველოს ნაკრებში ლიდერები კი გვყავდა, მაგრამ გუნდი არა.

— ზოგს მიაჩნია, რომ 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელები საქართველოს ნაკრებს ვერაფერს მატებენ — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— მე პასპორტში არავის არ ვუყურებ, ვინც მინდორზე საუკეთესოა, უპირატესობა მას უნდა მივანიჭოთ, თანაც ფეხბურთელები, რომელთა ასაკი 30 წელს აღამატება, საკმაოდ გამოცდილები არიან და გამოცდილება ნებისმიერი გუნდისთვის უაღრესად ფასეულია. ბევრი მინახავს 20-22 წლის ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ყველა კომპონენტში ჯობნიან 30 წელს გადაცილებულები.

— ანართოსისელ გიორგი ქინქლაძის ახლანდელ მზადყოფნაზე რას გვეტყოდით?

— ქინქლაძე, რა თქმა უნდა, ყოველდღე ვარჯიშობს და მისი ფიზიკური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მომდევნო კვირას შესაძლოა მან „ანართოსისის“ სასტარტოშიც კი ითამაშოს.

— როგორ ფიქრობთ, ნაკრების დონეზე ქინქლაძეს კვლავაც შეეძლება თამაში?

— შესაძლოა, ნოემბერში ქინქლაძე ნაკრებისთვისაც იყოს მზად. გამომდინარე იქიდან, თუ როგორ იქცევა ქინქლაძე ვარჯიშებზე, რატომ ვერ უნდა შეძლოს ნაკრებში დაბრუნება?!

— თემურ ქეცბაია ფეხბურთს კვლავ თამაშობს — როგორ ახერხებს ფეხბურთელი ამას ასეთ ასაკში?

— კარგი ვარჯიში და რეჟიმი აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ვარჯიშით ამას ვერ შეძლებ — თუ სპორტული ცხოვრების წესს არ მისდევს, არაფერი გამოვა.

— ახლანდელი გადმოსახედიდან რას დააბრალებდით იმას, რომ 90-იან წლებში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ვერაფერს მიაღწია?

— შეცდომები იყო დაშვებული ჩვენი ფეხბურთელების მიერ და მწვრთნელების მხრიდანაც. ნაკრების წინსვლასა და წარმატებებს კონკრეტულმა პირებმაც არ შეუწყვეს ხელი, მაგრამ ეს უკვე წარსულია და ყველაფერ ამაზე დაწვრილებით საუბარი აღარ ღირს. ნაკრების მომავალს იმედიანად ვუყურებ — საქართველოს ეროვნულ გუნდს ახლა მართლაც შეუძლია, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს.

— ალენ ჟირესზე, როგორც მწვრთნელზე, რა წარმოდგენა შეგექმნათ?

— თურქეთთან სტუმრად ფრე და ალბანეთის შინ დამარცხება ადვილი არაა — ვფიქრობ, ჟირესს შეუძლია საქართველოს ნაკრებს მისცეს ის, რაც გუნდს წლების განმავლობაში აკლდა.

**დავით თავართქილაძე**

# გავარდნას ვინღა დაეძებს

## ქართველების ბალტიკა შეიძლება დაიჯარიმონ

კალინინგრადის „ბალტიკა“ მაგარ შარში გაეხვა. ყოველკვირეული „ნოვიე კოლესას“ ჟურნალისტებმა კალინინგრადის მხარის პროკურატურას მიაწოდეს აუდიოფირი, რომელზეც სკანდალური საუბრებია ჩაწერილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ზაზა ჯანაშიას, თემურ გადელიასა და რომან ახალკაცის გუნდს თამაშების ჩაწყობაში ადანაშაულებენ

ფირზე ჩაწერილია უცნობი კაცის ხმა, რომელიც ამბობს, რომ არის დმიტრი ჩეპელი და ცდილობს ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელების მოსყიდვას.

დმიტრი ჩეპელი კი „ბალტიკას“ დირექტორია.

ამ ამბავმა რუსეთში დიდი ხმაური გამოიწვია. საქმეში დუმის დეპუტატი იგორ რუდნიკოვიც ჩაერთო. მან ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩეპელს შევხვდი და თანამდებობის დატოვება შევთავაზე. ის უარზეა. მე დეპუტატი ვარ და, ცხადია, მაინტერესებს, რა ხდება. პროკურატურა ვალდებულია, ათი დღის განმავლობაში მითხრას, დამნაშავეა თუ არა ჩეპელი“.

ჩეპელი ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარს აცხადებს და ამბობს, რომ ყველაფერი შეთითხნილია. თავის მხრივ, გარიგებას „ჩერნომორეცის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვლადიმირ პოდობედოვიც უარყოფს: „ბუნებრივია, შეიძლება წავაგოთ ხოლმე, მაგრამ ბინძურ გარიგებებს გამოვრიცხავ. აგერ, „ანჟისთან“ 0:5 დავმარცხდით და რა, ესეც ჩავაწყვეთ?“

მოკლედ, ეჭვმიტანილები თავის გამართლებას ცდილობენ, მაგრამ რამდენად გამოსდით, ძნელი სათქმელია. ჩვენ კი გეტყვით, რომ „ბალტიკა“ „ჩერნომორეცს“ 14 სექტემბერს შეხვდა და 1:0 მოუგო. გოლი მე-11 წუთზე ზინოვიევმა გაიტანა, თუმც საინტერესოა, რომ 72-ე წუთზე სტუმარმა დანიცემ პენალტი გააფუჭა. უცნაურია ისიც, რომ „ჩერნომორეცის“ თავკაცმა შეცვლა საერთოდ არ გააკეთა. ბარემ აქვე დავამატებთ — რომან ახალკაცი 78-ე წუთზე შეცვალეს, ზაზა ჯანაშია კი 86-ეზე.

„ბალტიკა“ სატურნირო ცხრილში გასავარდნ მე-20 ადგილზეა, „ჩერნომორეცს“ კი თავი თითქმის ქუდში აქვს.

**ბახა შალამბერიძე**

# შრომა-გასწორების მილანელო

## მალე ისინი ყველაფერს მოიგებენ

*მაშ ასე, კარლო ანჩელოტიმ ახალი სეზონის შესახებ პირველი შეხედულება გამოთქვა*



კარლო ანჩელოტი „როსონერის“ წლევანდელი სტარტით კმაყოფილია

„**დღემდე** მიღწეული შედეგი გვაკმაყოფილებს — თქვა მან „მილანის“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე — ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ვითამაშეთ და სერია A-ს ცხრილშიც, „მესინასთან“ მარცხის შემდეგ ზევით ავიწიეთ. თან შედეგს პასიურად არ ვთვლით, ჩვენ ვმუშაობთ და შედეგი ასე მოგვყავს. ფეხბურთელებიც ახლა იწყებენ კარგ ფორმაში შესვლას. ვფიქრობ, მალე მაქსიმუმს მიაღწევენ. უახლოეს პერიოდში „კალიარისთან“, „ბარსელონასთან“ და „ინტერთან“ გვიწევს შეხვედრა. გულწრფელად გეტყვით, არც ერთი ამ მატჩის არ გვეშინია, პრობლემებს საერთოდ არ ველით. განსაკუთრებით „ბარსელონასთან“ და „ინტერთან“ შეხვედრებზე შემიძლია ვთქვა. ეს ორი გუნდი ძლიერია და ჩემი ფეხბურთელებიც სწორედ ამიტომ ითამაშებენ მათ წინააღმდეგ ძალიან კარგად. ასეთ დროს მაქსიმალურად ვართ მოტივირებულნი. ამიტომ, თუ მკითხავთ, კალიარიში ყველაზე მეტი ხიფათი გველის. თან, ჩვენს გუნდში სხვადასხვა ნაკრების ბევრი ფეხბურთელია, რომლებიც დაღლილები დაგვიბრუნდებიან, სამხრეთ ამერიკელები კი სულაც პარასკევამდე ვერ ჩამოვლენ.“

შემდეგ „შავ-წითლების“ მწვრთნელმა რამდენიმე ცალკეული ფეხბურთელი დაახასიათა:

„დარიო შიმიჩს, ჩემი აზრით ფორმის აღსადგენად გარკვეული დრო ჯერ კიდევ დასჭირდება. ანდრეა პირლო ახლავე ჯანმრთელია, მაგრამ ვინაიდან კარგა ხანს ხან იტალიის ოლიმპიურ ნაკრებში ვარჯიშობდა და ხან ეროვნულში, გუნდის ტაქტიკურ სქემას მთლად მორგებული ვერ არის. შვებულების შემდეგ მხოლოდ იმის ნახევარს თამაშობს, რაც შეუძლია. ფილიპო ინძაგი 90 წუთისთვის ჯერ არ არის მზად, ხოლო ანდრეი შევჩენკოს ჯერ კიდევ ჩემპიონთა ლიგის მეორე მატჩში დაეწყო ჯადოსნური პერიოდი და მას მერე პროგრესირებს. მე თუ მკითხავთ წლეულს „ოქროს ბურთი“ სწორედ მას უნდა მისცენ“.

მაგრამ „მილანი“, როგორც ჩანს, „მხოლოდ“ შევჩენკოს, ინძაგის, იონ დალ ტომასონისა და ერნან კრესპოს თუნდაც დიად ნიჭს არ ენდობა და კიდევ აპირებს თავდამსხმელის ყიდვას. თან როგორი თავდამსხმელის... საუბარი, თვით რომაელ ანტონიო კასანოზეა.

„ჩემთვის მასთან მუშაობა პრობლემური არ იქნება — განაცხადა ანჩელოტიმ — „მილანში“ სწორედ ის გარემოა, რომელიც მისი მორჯულებისთვის არის საჭირო. აქ, მილანელოში, ფეხბურთელებისგან მშვიდ, გაწონასწორებულ ადამიანს ვქმნით“.

კასანომ კი „რომას“ ქომაგები კიდევ ერთხელ „გაახარა“ — სანამ მსოფლიოში სანაკრებო თამაშებია, „რომამ“ „ტივოლისთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და ამ მატჩის 57-ე წუთზე ურჩმა თავდამსხმელმა თვითნებურად დასტოვა მოედანი.

„მილანი“ კი უფრო შორსაც მიდის, ბოლოს და ბოლოს, კასანოს ამბავი თუ არ გამოვა, „პარმასგან“ ალბერტო ჯილარდინოს წამოვიყვანთო.

„მილანის“ მთელი და საშინელი ძალით ათამაშებას ელის გუნდის ნახევარმცველი კლარენს ზეედორფიც:

„გამოსასწორებელი ასპექტები რასაკვირველია არის, მაგრამ ფაქტია, რომ ფორმაშიც ვდგებით და სულ მალე დიად „მილანს“ იხილავთ — ამბობს 29 წლის ჰოლანდიელი — ახლა ჩვენთვის სეზონის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოდის. აქამდე, მიღწეული შედეგებით უკმაყოფილონი არ ვართ, მაგრამ მეტს ველით. დიდი მოუთმენლობით ველი შეხვედრას „ბარსელონასთან“ და „ინტერთან“. პირადი პრობლემებიც დავძლიე და ძალები აღვიდგინე, მაგრამ როგორც მე, ასევე მთელმა დანარჩენმა გუნდმა, ჯერ კიდევ უნდა მოვუმატოთ, რისი უნარიც გვაქვს“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, „მილანის“ მაისურას ან ალბერტო ჯილარდინო მოირგებს, ანაც ანტონიო კასანოო

**პაპუნა ძიძია**



ალვარო რეკობას დღევანდელი „ინტერი“ ყველაზე მეტად ახლა მოსწონს

# ინტერი, რომელიც ინტერზე მეტია

**მილანის** „ინტერის“ ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა ამბობს, რომ „შავ-ლურჯებს“ დღევანდელი გუნდის დარი, რაც ის იტალიაშია, აქამდე არ ჰყოლიათ.

„რვა წელიწადია ამ კლუბში ვარ და ამაზე უკეთესი შემადგენლობა არ მინახავს — თქვა რეკობამ, რომელსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ სერია A-ს ცხრილი არ ეთანხმება — „ინტერს“ უბრალოდ ერთი თამაში აქვს მოგებული, დანარჩენი ოთხი კი გუნდმა ფრედ ითამაშა.

რეკობამ განაგრძო: „რაც შეეხება შედეგებს, ჩვენ კი კარგად ვთამაშობთ, მაგრამ ჯერ მოგებები არ მიგვეწყო, რაც დროის ამბავია“.

უახლოეს ტურში კი „ინტერი“ „სან სიროზე“ ლუჩანო სპალეტის „უდინეზეს“, საკმაოდ სახიფათო გუნდს მასპინძლობს.

„უდინელები ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დიდ სირთულეებს უქმნიან, მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება, რომ „ინტერი“ გვქვია. გამარჯვება იოლი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მაინც უნდა მოვიგოთ, თორემ ისედაც ბევრი გვაქვს დაკარგული. გამარჯვებისთვის კი უპირველეს ყოვლისა საკუთარი კარის უსაფრთხოდ დაცვაა საჭირო. რაც „რომასთან“ მოგვივიდა, არ უნდა განმეორდეს“ — დასძინა ურუგვაელმა.

შეგახსენებთ, რომ „რომამ“ ორბურთიანი უპირატესობა გაუბათილა: „სტადიო ოლიმპიკოზე“ მათი ბოლო შეხვედრა 3:3 დასრულდა.

**პაპუნა ძიძია**

# ბლატერმა და მედიამ ელჩი გააფუჭეს

**ბაქოში**, აზერბაიჯან-ინგლისის თამაშზე ჩასულმა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა დევიდ ბექემი გააკრიტიკა, მისნაირმა ბიჭმა ისეთი ყვითელი ბარათი არ უნდა მიიღოს, უელსთან რომ მიიღოო. „ეს სამწუხაროა — თქვა ბლატერმა — ის სამაგალითო ფიგურაა ბევრისთვის და ფეხბურთის ელჩი. ამიტომ, კაცს ბოლმით არ უნდა ეტაკოს“.

ბექემმა ადრე განმარტა, რომ ბენ ტეტჩერი იმიტომ წააქცია, რომ მანამდე სწორედ მასთან შეტაკებისას გაუტყდა ნეკნი. ამ ტრავმის გამო, ბექემი რამდენიმე კვირას ვერ ითამაშებს და გუშინაც გამოტოვა სანაკრებო თამაში. ტრავმამ მას ერთი მხრივ უშველა, მოსალოდნელი სასჯელი ამ გამოტოვებულ მატჩზე მოვიდა და მისი შემდგომი სანაკრებო ყვითელი ბარათი 2005 წლის კამპანიაში თამაშის გამოტოვებას არ აიძულებს.

საერთოდ კი ამ ბარათისათვის „ბექჰი“ ბევრმა ინგლისელმა გააკრიტიკა. „ტაიმსის“ ცნობით, ბექემმა სვენ გორან ერიკსონს დაურეკა და მოუბოდიშა, სანაკრებო თამაშის წინ გუნდს გუნება გავუფუჭეო. გუნდს კი, თუ გუნება გაუფუჭდა, ალბათ უფრო იმის გამო, რომ ინგლისურმა მედიამ პირდაპირ ჯვარს აცვა ბექემი ამ ყვითლის გამო, მის ბრწყინვალე გოლი კი, იმავე უელსთა კარში.

**ირაკლი გამყრელიძე**



# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

## X ტური

**ბოლივია 0:0 ურუგვაი**

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, კარბალიო (კოლკე. 65), არანა, რალდესი, ო. სანჩესი, რ. გარსია (კაბრერა 46), ლ. კრისტალდო, ე. სანჩესი, ლ. ალვარესი (გალინდო 80), ლ. გუტიერესი, ბოტერო
ურუგვაი: ვიერა, დიოგო, ლაგო, დ. როდრიგესი, გ. როდრიგესი, გ. ვარელა, პოუსო, პაბლო გარსია, რეგუერო (პაროდი 73), რ. მორალესი (ჩევანტონი 78), ვ. სანჩესი (მ. სოსა 76)
გაძევება: პოუსო (74)
მსაჯი: მარსიო დე ფრეიტაში (ბრაზილია)
28 000 მაყურებელი

# სადღაა ლა პასში სახანძრო?


REUTERS

ბრძოლა კი იყო გვარიანი, მაგრამ უშედეგო და ფრიანი

**ურუგვაის** ნაკრებმა ფრე გააზერხა ბოლივიასთან, რაც გარემოებათა გათვალისწინებით, კარგ შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. გარემოებები კი ასეთია: თამაში ლა პასში ჩატარდა, ეს ქალაქი კი, უამრავჯერ აგვილნიშნავს, ზღვის დონიდან 3 600 მეტრზე მდებარეობს და ჰაერი იმდენად გაიშვიათებულია, რომ სახანძროც კი არ არსებობს, ხანძარი ვერაფრით გაჩნდება. შესაბამისად, ლა პასში თამაში ყველა სტუმარს უჭირს.

მეორე გარემოება კი ის არის, რომ ურუგვაელებს 74-ე წუთზე ფეხბურთელი გაუგდეს და კაცნაკლულებმა მაინც გაძლეს. გაძევებული ფეხბურთელი ომარ პოუსო იყო, გაძევების მიზეზი კი ხოაკინ ბოტეროსთვის უკნიდან ფეხის ჩარტყმა. აქვე შევნიშნოთ, რომ მსგავსი ჩარტყმები უთვალავი იყო, მაგრამ ბრაზილიელმა არბიტრმა მარსიო დე ფრეიტაშმა მხოლოდ ამ ერთხელ ჩაიყო ჯიშები ხელი.

ურუგვაელებს ერთი გამოსარჩევი მომენტი ჰქონდათ — თამაშის მეორე წუთზე ვისენტე სანჩესმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მასპინძლები მეტწილად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გავლას და მეკარე სებასტიან ვიერას შეცდომის იმედად იყვნენ, მაგრამ ამაოდ.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 9 | 5 | 4 | 0 | 19:10 | 19 |
| არგენტინა | 9 | 5 | 3 | 1 | 18:9 | 18 |
| პარაგვაი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| ეკვადორი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:8 | 13 |
| ჩილე | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| ურუგვაი | 10 | 3 | 2 | 5 | 15:23 | 11 |
| ვენესუელა | 9 | 3 | 1 | 5 | 8:13 | 10 |
| ბოლივია | 10 | 3 | 1 | 6 | 11:19 | 10 |
| კოლუმბია | 9 | 2 | 3 | 4 | 11:11 | 9 |
| პერუ | 9 | 2 | 3 | 4 | 10:11 | 9 |

# ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
## შესარჩევი ეტაპი. IV ტური

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**ჰოლანდია 4:1 ფინეთი**

1:0 ვან მოსელველდი (28), 2:0 ელ ჰამდაუი (32), 2:1 კუქი (85), 3:1 ჰუნტელაარი (85), 4:1 ვან პერსი (88პ)

**სომხეთი 0:4 ჩეხეთი**

0:1, 0:2 შიგოკი (2, 54), 0:3, 0:4 ტროიანი (70, 79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ფინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |
| სომხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:9 | 3 |

### III ჯგუფი

**ლატვია 0:0 ესტონეთი**

**პორტუგალია 2:0 რუსეთი**

1:0 კვარესმა (60), 2:0 უგო ალმეიდა (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | 2 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

### IV ჯგუფი

**კვიპროსი 0:1 საფრანგეთი**

0:1 დერგონუ (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ირლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| კვიპროსი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

### V ჯგუფი

**მოლდოვა 0:0 შოტლანდია**

**ნორვეგია 0:0 სლოვენია**

**იტალია 2:1 ბელარუსი**

0:1 სკორნიუკი (32), 1:1 ბიანკი (45), 2:1 აკილანი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| ნორვეგია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| მოლდოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |

### VI ჯგუფი

**აზერბაიჯანი 0:0 ინგლისი**

**გერმანია 2:0 ავსტრია**

1:0 შულცი (29), 2:0 ჰანკე (78)

**უელსი 2:2 პოლონეთი**

0:1 გრეგორეკი (8), 1:1 ვუგანი (30), 2:1 ბირჩალი (73), 2:2 ბროჟეკი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 10 |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| უელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ავსტრია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |

### VII ჯგუფი

**სერბეთი 9:0 სან მარინო**

1:0 პოპოვიჩი (10), 2:0 იანკოვიჩი (21პ), 3:0 ვუკჩევიჩი (29), 4:0 კრაშიჩი (36), 5:0, 6:0 პოპოვიჩი (45, 48), 7:0 კრაშიჩი (65), 8:0 რადოვიჩი (73), 9:0 ლომიჩი (79)

**ლიტვა 1:1 ესპანეთი**

0:1 ინიესტა (25), 1:1 რიმკევიჩიუსი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 17:1 | 9 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:16 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ბულგარეთი 2:1 მალტა**

1:0 ზაკოვი (37), 2:0 პალანკოვი (38), 2:1 მილანოვი (90ს.კ.)

**ისლანდია 3:1 შვედეთი**

1:0, 2:0 სიგურდსონი (10, 50), 2:1 იოჰანსონი (72), 3:1 მარტეინსონი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ისლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| შვედეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| მალტა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |

## ამხანაგური მატჩი

**ავსტრალია 6:0 სოლომონის კუნძ.**

1:0 მილიჩიჩი (5), 2:0 კიუელი (8), 3:0 ტ. ვიდმარი (60), 4:0 არჩი ტომპსონი (79), 5:0 ელრიჩი (82), 6:0 ემერტონი (89)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

### VIII ჯგუფი. V ტური

**ინდონეზია 1:3 საუდის არაბეთი**

0:1 ალ საედი (10), 0:2 ალ მეშალი (19), 1:2 ჯაია (55), 1:3 ალ ქადი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:1 | 15 |
| თურქმენეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ინდონეზია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| შრი ლანკა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |



# ბექემი ერთი თვით წავიდა

**მადრიდის** „რეალი“ რამდენსაც არ უნდა ეცადოს, დევიდ ბექემი ერთ თვეს ვერ ითამაშებს ფეხბურთს.

სანაკრებო თამაშში გატეხილ ნეკნებს გვარიანი მკურნალობა სჭირდება. „რეალის“ ექიმმა კარლოს ერნანდესმა თქვა, რომ მოტეხილობა სერიოზულია და „ბექზიც“ ლა ლიგის ოთხ თამაშს გამოტოვებს და მინდორს 17 ნოემბერს, ინგლის — ესპანეთის ამხანაგურ მატჩში დაუბრუნდება.

მანამდე „რეალის“ დირექტორმა ემილიო ბუტრაგენიომ თქვა, რომ იმედოვნებდა, ჩემპიონთა ლიგის უახლოესი თამაშისთვის ბექემი მწყობრში ეყოლებოდა. ბუტრაგენიომ ისიც თქვა, რომ ბექემს სწრაფად გამოჯანმრთელების უნარი აქვს.

თუმცა, ნეკნები იმგვარი უხერხულობით ყოფილა ჩატეხილი, რომ „ბექზის“ სწრაფი გამოჯანმრთელება არ გამოვა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისურ** „ფულემს“ მალე ახალი მფლობელი ეყოლება. მუჰამედ ალ-ფაიედი აპირებს აქციების საკონტროლო პაკეტი თურქ ბიზნესმენ ჰუსეინ ფალაილის მიჰყიდოს. „უკვე 70 წლის ვარ და მიჭირს გუნდისთვის საჭირო ყურადღების მიქცევა. ჩემი შვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეგებ არც წავსულიყავი ამაზე, თუმცა „ფულემს“ საიმედო ხელში ვტოვებ და იმედია, გუნდი განვითარებას განაგრძობს“ — აღნიშნა მეპატრონემ. შეგახსენებთ, რომ მუჰამედ ალ-ფაიედმა ლონდონური კლუბი 1997 წელს ჩაიბარა და მესამე დივიზიონიდან, პრემიერლიგაში აღაზევა.

**ესპანური** „ვალენსიას“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ კლუბს ფორვარდი მიგელ მისტა დატოვებს. თუმცა ჯერ არ გადაწყვეტილა როდის — იანვარში თუ მომავალ ზაფხულს. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის დასაწყისში ვალენსიელთა საუკეთესო თავდამსხმელმა თავად არ ისურვა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება, ხოლო „მესტალიაზე“ კლაუდიო რანიერის დაბრუნების შემდეგ მისი საქმე საერთოდ აირია.

**ბრაზილიის** ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველმა მარკოს კაფუმ განაცხადა, „ბარსელონაში“ სიამოვნებით დავასრულებდი კარიერასო. „კატალონიელთა რიგებში ერთი სეზონის გატარებაზეც თანახმა ვარ. შეიძლება ითქვას, რომ ვოცნებობ „ბარსაზე“, ძალიან მიზიდავს „კამპ ნოუ“. ეს საოცარი მოედანია, საკმარისია, მინდორზე ფეხი დადგა და უკვე გრძნობ, რომ ფეხბურთელი ხარ. მომწონს თვითონ ქალაქიც“ — აღნიშნა 33 წლის კაფუმ.

**ინგლისური** „ჩელსის“ ფორვარდმა კარლტონ კოულმა ლონდონურ კლუბში დაბრუნება იუარა. იგი ამჟამად „ასტონ ვილაშია“ განათხოვრებული და იქ თავს კარგად გრძნობს. „აქ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვარ, ხოლო „ჩელსიში“ სათადარიგოობა მემუქრება. წინა სეზონში მაურინიუს ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ამიტომ ლონდონში დაბრუნების აზრს ჯერჯერობით ვერ ვხედავ. მართალია, „ჩელსი“ ჩემი მშობლიური კლუბია და ძალიან მიყვარს, მაგრამ ახლა მხოლოდ „ასტონ ვილაზე“ ვფიქრობ“ — განაცხადა 21 წლის ფორვარდმა.

**ინგლისური** „ბლექბერნისა“ და უელსის ნაკრების თავკაცმა მარკ ჰიუზმა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელის პოსტი დეკემბერში უნდა დატოვოს და თავის შემცვლელად უელსის ნაკრების ახლანდელი კაპიტანი გარი სპიდი ესახება. „ძალიან კარგი იქნება, თუ ფეხბურთის ასოციაცია მთავარ მწვრთნელობას გარის ანდობს. იგი თანაგუნდელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და მთელი ეს წლები ფაქტობრივად, ჩემი თანაშემწე იყო. მართალია, იგი 35 წლისაა და დიდი გამოცდილებაც აქვს, მაგრამ ყველა ხომ საიდანღაც იწყებს რაღაცას“ — თქვა ჰიუზმა.

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“ შესაძლოა „რივერ პლეიტში“ განათხოვრებული და კარგა ხნის მივიწყებული მარსელო სალასი გუნდში დააბრუნოს. „ბებერ ქალბატონს“ თავდასხმაში პრობლემები შეექმნა, ხოლო ტურინელთა გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის ზედმეტი ფულის დახარჯვა კატეგორიულად არ უნდა. „იუვეში“ გადასვლის კანდიდატად კვლავაც სახელდება ადრიან მუტუც.

**ინგლისური** „მანჩესტერი“ იანვარში „მიდლსბროს“ ავსტრალიელ მეკარე მარკ შვარცერს დაიმატებს. „მე მართლაც მივიღე წინადადება და სავარაუდოდ, დავთანხმდები კიდეც. „მიდლსბროს“ გაწვალება არ მინდოდა, ამიტომ თავიდანვე ვთქვი უარი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. იმედია, „ბოროს“ ქომაგები ჩემზე არ განაწყენდებიან“ — თქვა 32 წლის შვარცერმა. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელი გოლკიპერი „წითელ ეშმაკებს“ ევროთასებზე ვერ დაეხმარება.

**ლიტვისა** და მოსკოვის ცსკა-ს მცველი დეივიდას შემბერასი სანაკრებო შეკრებაზე დაშავდა. იგი წუხელ ეროვნულ გუნდს ესპანეთთან მატჩში ვერ დაეხმარა და დიდი შანსია, გარკვეული დროით არმიელებსაც გამოაკლდეს. თითქმის გადაწყვეტილია, შემბერასი ცსკა — „ჩელსის“ მატჩს გამოტოვებს.

**იტალიურმა** „ფიორენტინამ“ ხავიერ პორტილიოს უკან, მადრიდში დაბრუნება გადაწყვიტა. ფლორენციელთა პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე ყველანაირად ცდილობს, თანხების მაქსიმალური მობილიზება მოახდინოს, რადგანაც სურს, იანვარიდან თავდასხმაში ფაბრიციო მიკოლის მეწყვილე შეიძინოს. „იებში“ გაძაბარგების ერთ-ერთი კანდიდატი რუმინელი ადრიან მუტუა.

# ხოსე მარია გუტი: რა ბუნტი, რის ბუნტი




*რეალელი გუტის მთავარი საფეხბურთო პრობლემა კვლავაც „სამეფო კლუბის" სათადარიგოთა სკამთან „ძმაკაცობა" რჩება. დევიდ ბექემის ტრავმის მერე შეიქნა შთაბეჭდილება, რომ მას, ახლა მაინც ეღირსებოდა ძირითადში ადგილი, მაგრამ...*

*ალბათ, უინტერესო არ იქნება, თუ რას ფიქრობს ყოველივე ამის თაობაზე თავად ხოსე მარია. გუტიმ და მადრიდული „ასის" ჟურნალისტმაც გულახდილად ისაუბრეს*

— „რეალი" პრიმერადივიზიონის ცხრილში მეათე ადგილზეა. მედიაც გაუთავებლად ლაპარაკობს გუნდის კრიზისზე. ხომ არ დაიღალეთ?

— უკვე მივეჩვიე და პრესისა თუ ტელევიზიის მიერ ჩვენი მისამართით გამოთქმული მოსაზრებებით თავს არ ვიტკიებ. ოდნავი ჩავარდნაც და ხალხი მაშინვე კრიზისზე ლაპარაკობს. თუმც, ცხადია — წლევანდელი სეზონი მართლაც ძალიან ცუდად დავიწყეთ.

— და რას უნდა მივაწეროთ ეს ჩავარდნა?

— ვფიქრობ, გარკვეულწილად საკუთარი შესაძლებლობების რწმენა დავკარგეთ და ამიტომ. ყველაფერი კი შარშანდელი პრიმერას ბოლოს დაიწყო. დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობა რომ არ დაგვეკარგა, წლეულს გაცილებით უკეთ ვითამაშებდით. ახლა უფრო ინერციით ვბურთაობთ, ვიდრე გააზრებულად, მაგრამ ეს დროებითია — „რეალს" შესწევს ძალა, რთული კრიზისი გადალახოს.

— ჯონათან ვუდგეიტი ჯერაც ტრავმირებულია. გუნდის დანარჩენ ფეხბურთელებს ეს არ გალელვებთ?

— რა თქმა უნდა. ჯონათანს უბრალოდ, არ გაუმართლა. ახალი გადმოსული იყო, თავის საქმესაც ჩინებულად აკეთებდა და უცებ... ეს წყეული ტრავმა. მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. მჯერა, ვუდგეიტი „რეალს" დიდ სარგებლობას მოუტანს.

— ამ დროს კი თქვენი მარადიული მოქიშპე „ბარსელონა" პრიმერადივიზიონის ლიდერია. და ისე ჩანს, მისი მოგების უმთავრესი ფავორიტიც...

— მათ დიდებულად დაიწყეს, მაგრამ სეზონი გრძელია და ვნახოთ, საბოლოოდ რა მოხდება. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ახლანდელობით თუ ვიმსჯელებთ, „ბარსელონას" ყველა საპრიმერო ჯილდო ახლავე უნდა გადავცეთ...

— ახალ მწვრთნელზე, მარიანო გარსია რემონზე რას გვეტყვით, ეტყობა „რეალს" მისი ხელი?

— დიახ, მასთან უფრო მშვიდად ვმუშაობთ და ვცდილობთ, იმედები არ გავუცრუოთ. რემონი ძლიერი სპეციალისტია, გუნდის კრიზისიდან გამოყვანის დიდი სურვილი აქვს და ჩვენც ამაში აქტიურად დავეხმარებით. სხვა საქმეა, ჯერ რამდენად გამოგვდის.

— ხოსე ანტონიო კამაჩოზე კი ამბობენ, მის დროს „რეალი" რამდენიმე მტრულ ბანაკად იყო დაყოფილი და ძველმა მწვრთნელმაც „სანტიაგო ბერნაბეუ" ინტრიგების გამო მიატოვაო...

— რახაც გაუგებრობები მართლაც არსებობდა, ამას არც არავინ უარყოფს, თუმც მწვრთნელმა გადაწყვეტილება თავად მიიღო და მისი გადადგომის მიზეზებზეც ახლა ლაპარაკს არ ვაპირებ. „რეალი" კამაჩოს უსამართლოდ არ მოქცევია, პირიქით, ბოლომდე მის მხარეს ვიყავით.

— გარსია რემონსა და კამაჩოს შორის ფეხბურთელებისადმი მიდგომა ძალიან განსხვავდება?

— რემონი უპირველეს ყოვლისა გუნდის გაერთიანებას ესწრაფვის. ხოსეს დროს კი კონფლიქტური სიტუაციები მეტი იყო.

— თქვენ ძირითადში ისევ ვერ ხვდებით. ახლა, როცა დევიდ ბექემი ტრავმირებულია, იმედი ცხადია, გაგიჩნდათ...

— მოდით, ასე ნუ ვიტყვით. ბუნებრივია, ძირითადში თამაში ყველას უნდა. თუმც, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მოედანზე მხოლოდ რამდენიმე წუთი დავყო და გუნდს სხვაზე მეტად დავეხმარო. ათი წელიწადია, მადრიდის „რეალში" ვარ და ახლა მწვრთნელთან საჩემო შანსებისთვის ხვეწნა-მუდარით მისვლა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება.

— რატომ ცრუობთ? ხომ ვიცით, სათადარიგოთა სკამზე ხშირი ჯდომით ძალიან ნერვიულობთ...

— ვერ დაგეთანხმებით. გუნდის შემადგენლობას მწვრთნელი ადგენს და მისი ერთადერთი საფიქრალი მოცემულ ეპიზოდში კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელებით მოწინააღმდეგის დამარცხებაა. თუნდაც არ ვიყო ძირითადში, რატომ უნდა ავღელდე, როცა რემონის სტრატეგიით „რეალი" მატჩს მოიგებს? გარდა ამისა, მან პირადად ბევრჯერ მითხრა, რომ მენდობა.

— „ბილბაოსთან" მარცხენა ფლანგზე ითამაშეთ. მინდვრის რა პოზიციას არჩევდით, ცენტრს, ფლანგებს თუ თავდასხმას?

— საერთოდ მუდმივად თამაშს ვარჩევდი. ისე კი, ჩემთვის სულ ერთია, სად დამაყენებენ.

— „რეალის" თავკაცებს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ახალი საყრდენი ნახევარმცველის მოყვანა სურთ. სჭირდება „სამეფო კლუბს" ეს ტრანსფერი?

— რაც კი ჯილდოების მოპოვებაში ხელს შეგვიწყობს, ყველაფერს მივესალმები. „რეალის" დანარჩენი ფეხბურთელებიც ზუსტად ჩემნაირად ფიქრობენ.

— თითქმის გადაწყვეტილია, დეკემბერში არგენტინული „რივერ პლეიტიდან" ხავიერ მასკერანო გადმოვა...

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, სხვა რა შემიძლია გითხრათ?

— ის, რომ არგენტინელი გუნდში გუტის ადგილზე ითამაშებს და მორიგი სირთულეები შეგექმნებათ...

— არა, ასე არ ვფიქრობ. ზაფხულში „რეალსა" და პატრიკ ვიეირას შორის მოლაპარაკება რომ ჩაიშალა, ჩვენთან ეს არავის გახარებია — ფრანგი დიდებული მობურთალია და „ბერნაბეუზე" ახალი გამარჯვებების მოტანა შეეძლო. როგორც გითხარით, სულით და გულით შევეგებებით ყველას, ვინც „რეალს" სიკეთეს მოუტანს.

— და მაიკლ ოუენი? მასზე რას იტყვით?

— მაიკლმა ძირითადში მოსახვედრად რაულის კონკურენცია უნდა დასძლიოს, რომელიც ახლა შესანიშნავ ფორმაშია და „რეალის" სიმბოლოს წარმოადგენს. ამიტომაც, ოუენს თავისი ოსტატობის დამტკიცება საქვეყნოდ მოუწევს. ლივერპულელს ბურთაობა არ დაეწუნება, მაგრამ თავადაც იცით, რაოდენ რთულია რაულის დაჩრდილვა და მისი სათადარიგოებისკენ გაგზავნა.

— ჰოდა, ამ ტრანსფერის განხორციელებისთანავე პრესაში გაჩნდა მოსაზრებები, სადაც პრეზიდენტ პერესს ოუენის „ბერნაბეუზე" გადმოყვანის გამო აკრიტიკებდნენ. რა მოხდა, მაიკლს გულცივი დახვედრა მოუწყვეთ?

— არანაირად, პირიქით, ოუენი მეგობრულად მივიღეთ. დიდი უზრდელობა იქნებოდა, იმ ადამიანს, რომელიც ხვალ-ზეგ ჩვენი თანაგუნდელი უნდა გამხდარიყო, გულცივად დავხვედროდით.

— მომავალ კვირაში „რეალს" საჩემპიონთალიგო მორიგი ჯახი ელის კიევის „დინამოსთან"...

— ვეცდებით, ინჩასებს მშობლიურ კლუბზე გული საბოლოოდ არ გაუცივდეთ. მოგების შანსები „რეალს" მოწინააღმდეგეზე მეტი აქვს. ასე, რომ სამი ქულის ასაღებად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ.




ხოსე მარია გუტისთვის უმთავრესი „რეალის" სიხარულია

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## ალექს ფერგიუსონი

# ამოუცნობი



| 5132 | ფულემი-ლივერპული | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5133 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5134 | სიტი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5135 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5136 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5137 | მაინცი-ვერდერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5138 | ბაიერნი-შალკე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5139 | ბოხუმი-ჰანზა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5140 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5141 | ჰამბურგი-არმინია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5142 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5143 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5145 | მიონხენგლადბახი-კ.ლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5146 | ლივორნო-რომა | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5147 | იუვენტუსი-მესინა | 1,7 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 5148 | ბოლონია-ატალანტა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,2 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5149 | ბრეშა-პარმა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5150 | კალიარი-მილანი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5151 | ფიორენტინა-სიენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5152 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5153 | ლაციო-კიევო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5154 | ლეჩე-პალერმო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5155 | რეჯინა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5527 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | არსენალი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ფულემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სიტი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | მაინცი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ბაიერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ბოხუმი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ჰამბურგი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ლივორნო-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | იუვენტუსი-მესინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ბოლონია-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ბრეშა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | კალიარი-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | ფიორენტინა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | ინტერი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5553 | ლაციო-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5554 | ლეჩე-პალერმო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5555 | რეჯინა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5327 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5328 | არსენალი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 5329 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5330 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,7 | 1,9 |
| 5331 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 5332 | ფულემი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5333 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5335 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5336 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5337 | მაინცი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 5338 | ბაიერნი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ბოხუმი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ჰერტა-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5341 | ჰამბურგი-არმინია | 1,65 | 1,95 |
| 5342 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5345 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ლივორნო-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5347 | იუვენტუსი-მესინა | 1,75 | 1,85 |
| 5348 | ბოლონია-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 5349 | ბრეშა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5350 | კალიარი-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5351 | ფიორენტინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5352 | ინტერი-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5353 | ლაციო-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 5354 | ლეჩე-პალერმო | 1,6 | 2,0 |
| 5355 | რეჯინა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5227 | ბირმინგემი-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5228 | არსენალი-ასტონ ვილა | 2,0 | 1,6 |
| 5229 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5230 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,9 | 1,7 |
| 5231 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ფულემი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5233 | ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5234 | სიტი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5235 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5236 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,65 | 1,95 |
| 5237 | მაინცი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 5238 | ბაიერნი-შალკე | 2,1 | 1,55 |
| 5239 | ბოხუმი-ჰანზა | 2,1 | 1,55 |
| 5240 | ჰერტა-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5241 | ჰამბურგი-არმინია | 2,0 | 1,6 |
| 5242 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,85 | 1,75 |
| 5243 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5244 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5245 | მიონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 1,6 |
| 5246 | ლივორნო-რომა | 1,95 | 1,65 |
| 5247 | იუვენტუსი-მესინა | 1,85 | 1,75 |
| 5248 | ბოლონია-ატალანტა | 1,7 | 1,9 |
| 5249 | ბრეშა-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5250 | კალიარი-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 5251 | ფიორენტინა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 5252 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 1,7 |
| 5253 | ლაციო-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 5254 | ლეჩე-პალერმო | 1,9 | 1,7 |
| 5255 | რეჯინა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |

# ბაქრაძე თავისას კიდევ გაისვრის

## საუკეთესო დამცველმა დროს შეუტია



კაცი-კედელი: ირაკლი ბაქრაძე (მარჯვნივ) კვლავ გააწამებს თავდამსხმელებს

*ხომ გახსოვთ ირაკლი ბაქრაძე — არცთუ მაღალი, ჩადგმული და ცოტა არ იყოს, მოუხეშავი კალათბურთელი. თუ „ვითა“ გახსოვთ, არ დაგავიწყდებოდათ ბაქრაძეც, ვის წინააღმდეგაც ნებისმიერ ფორვარდს უჭირდა თამაში. მას ერთხანს საქართველოში ბადალი არ ჰყავდა დაცვაში და ამის გამო ნაკრებშიც დაიმსახურა ადგილი. ბაქრაძე იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი ლეგიონერი, რომელიც საბერძნეთში წავიდა და სალონიკის „არისის“ შემადგენლობაში ელინთა თასი და ევროპის თასის მფლობელთა თასი მოიგო. საბერძნეთიდან მობრუნებული კი ჯერ „ვითას“ დაეხმარა ჩემპიონობაში, შემდეგ „ბასკოს“ და შერყეული ჯანმრთელობის გამო კალათბურთს ნაადრევად გამოეთხოვა. ირაკლი ამ სეზონში ისევ უბრუნდება კალათბურთს...*

— **ოთხწლიანი განშორების შემდეგ უბრუნდებით კალათბურთს, რა განცდა გაქვთ?**

— ძალიან კარგად ვგრძნობ თავს იმიტომ, რომ ჩემს საყვარელ საქმეს ვუბრუნდები. კალათბურთის თამაში ამ ხნის განმავლობაში სულ მინდოდა, მაგრამ ჯანმრთელობა ამის საშუალებას არ მაძლევდა. ახლა სრულიად გამოვკეთდი და თავისთავად კალათბურთსაც ვუბრუნდები.

— **კალათბურთს თავის დროზეც ჯანმრთელობის გამო დაანებეთ თავი?**

— დიახ, ასე რომ არ ყოფილიყო, ზედგამოჭრილი საკალათბურთო ასაკი მქონდა, ჩემპიონ გუნდში ვიყავი და ძალიან კარგ ფორმაშიც გახლდით. 2000 წელს „ბასკოში“ ჩემპიონი რომ გავხდი, წელმა ძალიან შემაწუხა, ექიმებმა კი საბედისწერო დიაგნოზი დამისვეს, მორჩა შენი კალათბურთი, სპორტის ვერც ერთ სახეობას ვეღარ გაეკარებიო. მხოლოდ აუზზე სიარული შემეძლო, ისიც სარეაბილიტაციოდ.

— **ამ ხნის განმავლობაში არც გიფიქრიათ, რომ კალათბურთს დაუბრუნდებოდით?**

— ვფიქრობდი, მაგრამ ექიმების განაჩენი საკმაოდ მკაცრი იყო. თანაც ასეთი გადატვირთული რეჟიმის შემდეგ ვარჯიშს თავი რომ დავანებე, ამან ორგანიზმზე ცუდად იმოქმედა და საშინლად გავსუქდი, 20 კილო მოვიმატე. ამასობაში ასაკშიც შევდიოდი და კალათბურთში დაბრუნების შანსებიც მიმცირდებოდა.

— **მაგრამ, თურმე ბედი სულ სხვა რამეს გიქადდათ...**

— საბედნიეროდ, ასე ყოფილა და ძალიან გახარებულიც ვარ. ამ წლის დასაწყისში წელის ტკივილმა სრულიად გამიარა და ექიმებმა რომ გამსინჯეს, გაუკვირდათ, მიდი, ძამიკო, რამდენიც გინდა, იმდენი ირბინე, წელი სრულიად მოგირჩენიაო.

— **მერე ის მომატებული 20 კილო?**

— მაშინვე ვეტერან კალათბურთელებს შევუერთდი და ვარჯიში დავიწყე. კალათბურთის აკადემიაში ყოფილი მოთამაშეები იკრიბებოდნენ ხოლმე — პაატა გურასპაული, ნოდარ ქორქია, გია სანაძე, პოლიტიკიდან ნაცნობი ლევან გაჩეჩილაძე და ბევრი სხვა. სისტემატიურად დავდიოდი მათთან, საკმაოდ მოწესრიგებული და დისციპლინირებული გუნდიც გავაკეთეთ. თავიდან არ მეგონა, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშს თუ შევძლებდი და სერიოზულად ვფიქრობდი ვეტერანთა გუნდის ჩამოყალიბებაზე. ვაპირებდით, ეროვნული ჩემპიონატშიც გვეთამაშა, ოღონდ კონკურსგარეშე და ასევე ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირებში სისტემატიურად მიგვეღო მონაწილეობა.

— **ჩინებული იდეაა და ალბათ ახლაც არაა გვიან...**

— ვეტერანთა გუნდი ალბათ ჩამოყალიბდება, ლევან გაჩეჩილაძე ამაზე სერიოზულად ფიქრობს. მეც მათთან ვიქნებოდი, მაგრამ შემდეგ გავიგეთ, რომ თუ 35 წლის არ ხარ, ვეტერანებში ვერ ითამაშებ და, ასე ვთქვათ, პროფესიონალებში დავბრუნდი. აგვისტოში ზედმეტი წონა უკვე აღარ მქონდა და თსუ-ში მისვლა გადავწყვიტე.

— **რატომ მაინცდამაინც თსუ?**

— სიმართლე გითხრათ, თავიდან სოხუმის უნივერსიტეტის გუნდში მინდოდა თამაში და არა მარტო თამაში. გადავწყვიტე, სოხუმის კლუბისთვის ფინანსურად გამემართა ხელი და ამით აფხაზეთისადმი სიყვარული გამომეხატა.

— **შემთხვევით, სოხუმელი ხომ არ ხართ?**

— არა, მაგრამ ძალიან მიყვარს სოხუმი და განვიცდი, აფხაზეთი საქართველოსგან რომაა გარიყული. ეს იყო ჩემი კეთილი ნება, დავხმარებოდი სსუ-ს, მაგრამ ამ ეტაპზე რატომღაც არ მოხერხდა და ჩანაფიქრის შესრულებას მომავალი სეზონიდან ვაპირებ.

— **და სოხუმის უნივერსიტეტიდან თბილისისაში გადაინაცვლეთ?**

— თსუ-ს წვრთნის მამუკა ტურაშვილი, ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანი და ძველი თანაგუნდელი. მოვედი, ვუთხარი, თამაში მინდამეთქი და, მგონი, ჩემზე ძალიან მას გაუხარდა. ახლა მეტი [illegible] დატვირთვით ვვარჯიშობ და ორი ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ „დინამოსთან“ — [illegible] როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, რადგან თსუ-ში ძალიან თბილი და საქმიანი ატმოსფეროა. მამუკა ძალიან კარგი მწვრთნელი გამოდგა. ბიჭებიც დამჯერნი არიან და არცთუ ურიგო გუნდი გვყავს.

— **ცოტა ნაადრევი შეკითხვაა, მაგრამ მაინც: თქვენ ხომ ნაკრების სტაჟიანი წევრიც ხართ: ეროვნულ გუნდზეც ხომ არ ფიქრობთ?**

— ახლა ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, ჯერ საქართველოს ჩემპიონატში უნდა დავამტკიცო ჩემი ძალა და თუ მზად ვიქნები, მერე ალბათ მწვრთნელიც შემამჩნევს. ისე, ამ საქმეს ახლა იღბალი უფრო სჭირდება, ვიდრე სხვა რამ. გამოცდილება საკმარისი მაქვს და თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, არც ნაკრები უნდა იყოს შორს.

— **თქვენ თავის დროზე საუკეთესო დამცველად ითვლებოდით საქართველოში — ეგებ ხანგრძლივი უქმობით სათამაშო სტილი შეგეცვალათ?**

— არა, დაცვაში თამაში არ დამვიწყებია, პირიქით, ახლა უფრო გონებით ვუდგები ამ საქმეს, ვიდრე ინსტიქტით. ჩემი სუსტი წერტილი შეტევაში თამაში და სროლა იყო და შესაბამისად, სტაბილურობა მაკლდა. ახლა ჩემი მწვრთნელი კარგი მსროლელია და, ვფიქრობ, მამუკა ტურაშვილის დახმარებით შეძლებისდაგვარად ამ ნაკლსაც გამოვასწორებ.

— **როგორ ფიქრობთ, დაცვაში კონკურენციას ვინ გაგიწევთ?**

— რასაც მე ვუყურებ, ალბათ შიო ხეცურიანი თამაშობს ყველაზე უკეთ დაცვაში. თუნდაც ნაკრების ფინეთთან მატჩი ავიღოთ, შიოს გამოსვლამ დაცვა გაამაგრა და შესაბამისად მეტოქეც დაიბნა. მაგრამ, გავიგე, შიო ირანში წასვლას აპირებსო. ისე, არ მესმის, ახლა პოლიტიკური ნება და ტენდენცია ისეთია, რომ უცხოეთში წასული სპორტსმენები უკან ბრუნდებიან, კალათბურთში კი ყველაფერი პირიქით ხდება...

**ირაკლი პერტაია**

# რექტორები მიდი-მოდიან

## უნივერსიტეტში კალათბურთი რჩება

**ორიოდ** დღის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა დაიჩივლა, როინ მეტრეველის წასვლის შემდეგ ვითარება გაურკვეველია და არ ვიცით, ახალი რექტორი ისურვებს თუ არა ჩვენს დაფინანსებასო. რუსუდან ლორთქიფანიძე უნივერსიტეტის რექტორად ჯერ არ აურჩევიათ, მაგრამ რომ აირჩევენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამ ქალბატონის წინასწარმა გათვლებმა, რომ უნივერსიტეტს უმაღლეს ლიგაში უნდა ჰყავდეს გუნდი, თსუ-ს კალათბურთელთა კლუბის მწვრთნელები დაამშვიდა.

„როგორც ქალბატონმა რუსუდანმა თქვა, უნივერსიტეტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს გუნდი და რექტორად არჩევის შემდეგ ალბათ სიტყვას შეასრულებს — ამბობს თსუ-ს მთავარი მწვრთნელი მამუკა ტურაშვილი — ჩვენ აუცილებლად გვეყოლება გუნდი უმაღლეს ლიგაში და თუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მეტ დახმარებას გაგვიწევს, კიდევ უფრო ძლიერ შემადგენლობას შევკრებთ. ყველაზე ცუდ შემთხვევაში ამ შემადგენლობით ვითამაშებთ.“

არადა, თსუ არც ახლაა ხელწამოსაკრავი გუნდი, მაგრამ იმ შემადგენლობასთან, რაც წინა სეზონში ჰყავდა, ახლოსაც ვერ მივა. სტუდენტები დატოვეს კახა შენგელიამ, ამროსი ორმოცაძემ და დავით თორთლაძემ, ხოლო გიგი ნაცვლიშვილმა, რომელიც ბოლო წუთამდე სტუდენტური გუნდის წევრად ითვლებოდა, სპორტს კარიერა არჩია და კერძო სამსახურში ჩადგა.

თსუ-ს შემორჩნენ გამოცდილი ნუგზარ კოკოლიშვილი და შედარებით ახალგაზრდა, თუმც მრავალ ბრძოლაგამოვლილი ირაკლი მაისურაძე. ძველი შემადგენლობიდან სტუდენტებთან გიორგი მარხვაშვილი და ნიკა ვეფხვაძე ითამაშებენ, დანარჩენები კი უნივერსიტეტის პატარა აღსაზრდელები იქნებიან.

თსუ-ელებმა ორიოდ დღის წინ კარგი ამბავი გაიგეს. ხუთწლიანი განშორების შემდეგ კალათბურთს უბრუნდება ძველი „ვითას“ დაცვის ბურჯი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ირაკლი ბაქრაძე და არჩევანს თსუ-ზე აკეთებს.

„ის, რომ ბაქრაძემ თსუ აირჩია, გასაკვირი სულაც არაა. მან გადაწყვიტა, კალათბურთს დაბრუნებოდა და ჩემთან მოვიდა, ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები და თანაგუნდელები ვართ“ — გვითხრა მამუკა ტურაშვილმა.

ასე რომ, თსუ-ს დაცვას გვარიანი ძალა შეემატა და როგორც გია ჯავახიშვილი ამბობს, თუ „კოკაკოლამ“ გუნდის სპონსორობა არ გადაიფიქრა, კიდევ არაერთ ძლიერ მოთამაშეს შეიმატებენ — სავარაუდოდ, იმ დინამოელებს, რომლებმაც თავის დროზე კარიერა თსუ-ში დაიწყეს.



გია ჯავახიშვილი და მამუკა ტურაშვილი უნივერსიტეტის ახალ რექტორს ოპტიმიზმით ეგებებიან

ჯავახიშვილმა გვამცნო ის ამბავიც, რომ უნივერსიტეტის ბუღალტერიაში უფროსობიდან მიმართვა მივიდა, კალათბურთის ფედერაციაში ჩვენი გუნდის სამონაწილეო თანხა გადარიცხეთო. უკვე შეიძლება ითქვას, რომ თსუ დაშლას გადაურჩა და თუ ხელსაც შეაშველებენ, ვინძლო, პრიზიორობისკენაც გაიწიოს.

**ირაკლი პერტაია**

## კოკა კოლას თასი. თიხნარი. საპრიზო ფონდი 15 000 $





მოსწავლე და მასწავლებელი: ლადო ჩიხლაძე და ოლივერ გროსი დღეს ერთმანეთს გადაუჭვარედინებენ ჩოგნებს

# მარგალიტივით ოსტატი

## ჩიხლაძე მასწავლებელს შეეჩოგნება

**„კოკა კოლას თასს“** შერჩენილი ორი ჩვენებურიდან გუშინ ერთმა გაიხარა. ლადო ჩიხლაძემ კვალიფიკაციაგავლილ უკრაინელს სერგეი მიროპოლსკის ორ სეტში დააშალითებინა ჩოგანი და მეორე წრის საგზური გაინაღდა.

გერმანიიდან სპეციალურად თბილისური ტურნირებისთვის ჩამოსულმა საქართველოს დევისნაკრების წევრმა პირველი სეტი საკმაოდ იოლად, 6:3 მოიგო. მეორეში ჩიხლაძეს მართალია, გაუჭირდა, მაგრამ მოგება ულაპარაკოდ ეკუთვნოდა. ლადომ თითქმის წაგებული სეტი შემოაბრუნა — 1:4-დან სხვაობის შემცირება იწყო და ბოლოს საქმე ტაიბრეიკში მოამთავრა.

გამარჯვებულმა რამდენიმე წუთში ტრიბუნაზე გადაინაცვლა და იტალიელი ალბერტო ბრიზისა და გერმანელი ოლივერ გროსის ჩოგნაობას უცქირა. სწორედ ამ წყვილში გამარჯვებულს უნდა შეხვედროდა დღეს მეორე წრეში. შესაძლო მეტოქეებზე დაკვირვების გარდა ჩვენებურის ამ შეხვედრაში სხვა ინტერესიც ჰქონდა. 32 წლის გროსი ხომ მისი პირადი მწვრთნელია. კითხვაზეც, რომელთან შეხვედრა გირჩევნიამეთქი, ჩიხლაძემ ცხადია, მწვრთნელზე მიმითითა.

ოლივერ გროსი აქტიურ ჩოგბურთს წლების წინ შეეშვა და საქართველოში ჩამოსულსაც ოდენ გასართობად აულია ჩოგანი. ერთ დროს საერთაშორისო რეიტინგის ორმოცდაათეულის სტაბილურმა ბინადარმა გერმანელმა კვალიფიკაციიდან დაიწყო, ძირითადში შეაბიჯა და მეხუთე ნომრად განთესილი იტალიელიც შემოემარცხა — 6:2, 1:6, 6:2. ასე რომ, დღეს ერთმანეთს მოსწავლე-მასწავლებელი შეეჩოგნება.

ირაკლი უშანგიშვილი მეორედ გადაეყარა ტურნირის პირველ ნომერ კირილ ივანოვ-სმოლენსკის და შედარებით თანაბრად ებრძოლა, თუმც კვლავაც წააგო. ორგვაროვანმა რუსმა ზედ სეტების მიწურულს გატეხა ჩვენებური და ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით — 7:5 მოიგო. განსაკუთრებით დასანანი მეორე სეტის წაგება იყო. უშანგიშვილს 5:4 ანგარიშზე ორმაგი სეტბოლი მიეცა, მაგრამ ვერც ის გამოიყენა და ბოლოს ისე წააგო, იმ ხუთ ქულას ველარაფერი წაამატა.

ბოლო დღეების დარად, მიმოხილვას ამჯერადაც ტრადიციულად, გულშემატკივრების თემით დავასრულებთ. მიუხედავად იმისა, რომ დასწრება უფასოა, ხალხი კორტებზე მისვლით თავს დიდად მაინც არ იწუხებს. არადა, გუშინ რომ ტრიბუნა ნახევრად სავსე მაინც ყოფილიყო და უშანგიშვილს ხეირიანი მხარდაჭერა ჰქონოდა, ალბათ ორგვარა კირილე რუსეთის გზას ნაადრევად გაუდგებოდა. მას ხომ რამდენიმე ქართველი მაყურებლის ახმაურებაც ბრინჯივით აბნევდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**


## ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.


# წლის ბოლომდე აღარც ჟუსტინი გაანძრევს

## ამელის კი ფეხს აწევინებენ

**ჟუსტინ ენენ-არდენი** გადაღლილობის გამო წლის ბოლომდე ჩოგანს აღარ გაანძრევს — ეს ინფორმაცია იმ დღეს ჩოგბურთელის ვებსაიტით გავრცელდა.

მსოფლიოს ყოფილი პირველოსანი, რომელსაც აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში რუს ნადია პეტროვასთან წაგების შემდეგ აღარ უთამაშია, მოქანცულობას უჩივის და იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე მაინც შეძლებს ფორმისა და ილაჯის აღდგენას.

„ეს გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღე — სწერია საიტზე — ბოლო კვირების განმავლობაში ეგრეც ვერ შევძელი, ძალები აღმედგინა და სეზონის დარჩენილ ტურნირებზე გამოვსულიყავი.“

„ბოლო ორი წლის განმავლობაში საკმარისი შრომა გავწიე, რათა სადიდმუზარადო ტიტულები მიმეთვალა, ამქრის რეიტინგსიას სათავეში მოვქცეოდი და ოლიმპიადაზეც მემარჯვა. ამგვარად, ალბათ ლოგიკურიც კია, რომ თავს გადაღლილად ვგრძნობ. ახალ სეზონამდე კარგად დავისვენებ და დაცლილი ბატარეების ხელახლა დატენვას ვეცდები. ისე კი, რთული სეზონის მიუხედავად, საწუწუნო ბევრიც არაფერი მაქვს — წლეულს ხომ ხუთი ტიტული მოვიხვეჭე, საიდანაც ერთი ავსტრალიის ღია პირველობაზე, ხოლო მეორე ათენის ოლიმპიადაზე მერგო.“

შეგახსენებთ, რომ რიგიანად დაწყებული წელი ჭინკა ბელგიელს აპრილში „აკიდებულმა“ მავანმა ვირუსმა წაუმურდლა — ამ ვირუსის გამო მან როლანგაროსობაზე ტიტული ვერ დაიცვა, უიმბლდონობაზე კი საერთოდაც ვერ იჩოგნავა. ჩვეული ფორმა მან მხოლოდ აგვისტოში უკუიბრუნა, როცა ათენურ მაგარსაფარზე ოლიმპიური ოქრო მოიმკა, მაგრამ მას შემდეგ ის კვლავ ჩრდილში მოექცა და, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, ფუჭად შრომას კაცურად დასვენება არჩია.

სხვათა შორის, ჟუსტინის თვისტომმა და ასევე პირველოსანყოფილმა კიმ კლაისტერსმა სულ რაღაც ერთი კვირის წინ გამოაცხადა, რომ წლის ბოლომდე ჩოგნის განძრევას არ აპირებს. ოღონდ კიმს თავისი მოტივაცია ჰქონდა — ამას წინათ მან მტკივანი მაჯა გაიმიზეზა და პაუზაც სწორედ საამისოდ აიღო, რათა ტრავმა სრულიად გამოიშუშოს.

და კიდევ — რაკიღა დროებით შევბულებაალებულ ზეპურ მდედრებზე ვსაუბრობთ, ბარემ აქვე გეტყვით წინა კვირას ფილდერშტადტში ფეხდაშავებული ამელი მორესმოს ამბავს. რეიტინგსიის ამჟამინდელმა პირველოსანმა ტრავმა ლინდსი დევენპორტთან საფინალო შეხლისას მიიღო და ნაიმშეხლევს უმალ პარიზს მიაშურა ექიმებთან საკონსულტაციოდ. კონსილიუმმა დაასკვნა, რომ ამელის სულ მცირე ერთი კვირით მაინც მოუწევს ფეხების აწევა და ამის გამო საამკვიროდ მოსკოვურ კრემლის თასს გამოაკლდება.

ხოლო რაკიღა რეიტინგსიაში მისმომდევნო ლინდსი დევენპორტი მოსკოვში აუცილებლად გამოვა, არსებობს საფრთხე, რომ ფრანგმა დედაკაცმა პირველოსნობა დაკარგოს. საიმისოდ, რათა მორესმოსთან არსებული 15-ქულიანი დეფიციტი აღმოფხვრას, ლინდსისთვის საკმარისია, კრემლის თასზე მეოთხედფინალს მაინც უწიოს.

ისე, ალბათ მადლი იქნება, თუკი კარიერის დასრულებაზე მოფიქრალი ეს ამაგდარი 28 წლის კალიფორნიელი, ჩოგანს რეიტინგსიის სათავეში მდგომი ჩამოკიდებს.

**ლევან ძელაურაძე**



ამელი მორესმოს ალბათ მალე მოუწევს პირველ ჩოგანთან განშორება

ავტორბოლა



# ვერცხლის ქვას ვერ ელევიან

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

**გუშინ** საბოლოო სახე უნდა მიეღო 2005 წლის საფორმულო რბოლების გრაფიკს, ლონდონში კარგა ხანსაც იმსჯელეს, მაგრამ ზოგიერთი ეტაპის თარიღი ისევ დასაზუსტებელია.

გეხსომებათ, ამჯერადაც დიდი აურზაური იყო ატეხილი ლონდონის მახლობლად მდებარე სილვერსტოუნის ავტოდრომზე. აშკარად მობერებული „ვერცხლის ქვა“ სადღეისო მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს — ინფრასტრუქტურასაც უწუნებენ და ხუთკილომეტრიანი ტრეკის საფარსაც. თანაც ბრიტანეთის მრბოლების სამეფო კლუბმა, ვისი საკუთრებაცაა „სილვერსტოუნი“, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციას მომავალი წლის ეტაპის საგარანტიო ორნახევარი მილიონ დოლარის გადახდა დაუგვიანა და რბოლა, რომელიც პირველივე ჩემპიონატიდან (1950) ტარდება და ერთხელაც არ გამცდარა, წინასწარი კალენდრიდან ამოშალეს.

მაშინ კი ყველა დაფაცურდა „ბებერი სილვერის“ გადასარჩენად, ბრიტანული ეტაპის გაქრობა როგორ შეიძლებაო და ორიოდ დღეში გამოსავალიც მოიძებნა.

ბოლო სიტყვა, ცხადია, ფედერაციის ვიცეპრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნის იყო. ფორმულა 1-ის გამგებელმა თანამემამულეებს შეფუცხუნება და თითის დაქნევა აკმარა და დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებაც აღდგა, თუმც ავტოდრომის შეფობასთან კონტრაქტის პირობები საბოლოოდ შეთანხმებული არაა, ისევე, როგორც საფრანგეთის და სან მარინოს რბოლებისა.

დასაზუსტებელია აშშ-ის, ევროპისა და ჩინეთის ეტაპების ვადებიც. ეს ყველაფერი 10 დეკემბერს მოგვარდება.

**2005 წლის ფორმულა 1-ის კალენდარი**

| თარიღი | ეტაპი | ტრასა | რბოლა |
|---|---|---|---|
| 6 მარტი | ავსტრალია | ალბერტ პარკი | 20 |
| 20 მარტი | მალაიზია | სეპანგი | 6 |
| 3 აპრილი | ბაჰრეინი | საჰირი | 1 |
| 17 აპრილი | საფრანგეთი | მანი კური | 54 |
| 24 აპრილი | სან მარინო | იმოლა | 24 |
| 8 მაისი | ესპანეთი | კატალუნია | 34 |
| 22 მაისი | მონაკო | მონტე კარლო | 51 |
| | ევროპა | ნიურბურგი | 14 |
| 12 ივნისი | კანადა | ჟილ ვილნევი | 36 |
| | აშშ | ინდიანაპოლისი | 48 |
| 3 ივლისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 55 |
| 17 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 52 |
| 31 ივლისი | უნგრეთი | ჰუნგარორინგი | 19 |
| 21 აგვისტო | თურქეთი | სტამბოლი | — |
| 4 სექტემბერი | იტალია | მონცა | 55 |
| 11 სექტემბერი | ბელგია | სპა-ფრანკორშამი | 51 |
| 25 სექტემბერი | ბრაზილია | ინტერლაგუში | 31 |
| 9 ოქტომბერი | იაპონია | სუძუკა | 20 |
| | ჩინეთი | შანხაი | 1 |

რაგბი

# ვიჩქაროთ ნელა

## ინგლისი ყელზე ფეხს იდგამს

**ნელ-ნელა,** მაგრამ რაგბი რომ ნაბიჯ-ნაბიჯ უფრო ინტერნაციონალური ხდება, ამის შემჩნევა ძნელი არ უნდა იყოს. სპორტის ეს სახეობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში თავის ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი და ფაქტობრივად შვიდირვა ქვეყნის თამაშად ითვლებოდა, ახლა უფრო და უფრო გლობალური ხდება. ამის დასტური თუნდაც ისაა, რომ 2011 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობა ისეთ ქვეყანას გადაუწყვეტია, როგორიც იაპონიაა.

გაფართოება და ფრთების გაშლა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ამას თავისი პრობლემებიც ახლავს. მაგალითად, მეტად იტვირთება წლიური კალენდარი და საერთაშორისო მატჩების გაზრდა საკმაო პრობლემებს უქმნის სარაგბო კლუბებს. ჯანი სხვებზე მეტი კი მოსდევთ, მაგრამ მორაგბეებიც ხომ ადამიანები არიან და ზედმეტ დატვირთვას ვერც ისინი უძლებენ.

ინგლისის რაგბისა და ფეხბურთის ფედერაცია ამჟამად განიხილავს პროექტს, რომელიც ექვსი ერის თასის გათამაშების გადატანას ეხება გვიანი გაზაფხულისთვის. ამ შემთხვევაში ეს ტურნირი უფრო მარჯვედ მოერგება ახალ, გლობალურ კალენდარს, რომელსაც საერთაშორისო რაგბის კავშირი (IRB) ამზადებს.

მსოფლიო რაგბის მამები ახლა სწორად იმით არიან დაკავებულები, რომ ახალმა კალენდარმა მზარდი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და თავად მორაგბეებსაც შეუმსუბუქოს თამაშ-ცხოვრება.

ექვსი ერის თასის გათამაშებისათვის ვადების შეცვლის ინიციატივას უკვე დადებითად გამოეხმაურა უელსი. ამ სარაგბო ქვეყნის ფედერაცია თანახმაა, მეტოქეებს თებერვალ-მარტის ნაცვლად აპრილ-მაისში შეერკინოს.

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში ინგლისელებიც თანახმანი არიან, ამ ქვეყნის რაგბისა და ფეხბურთის კავშირის შეფი ფრენსის ბარონი, მაინც უფრო დინჯად მსჯელობს და გაზეთ „დეილი ტელეგრაფს“ უფრო ფრთხილი და ჭკუადამჯდარი პასუხები გასცა.

„ჩვენ ისეთ რამეზე ვსაუბრობთ, რაც სერიოზულ გამოკვლევას მოითხოვს. ცვლილებები რომ საჭიროა, ფაქტია, მაგრამ ისინი რადიკალურ ხასიათს არ უნდა ატარებდნენ. უკიდურესობები საქმეს წაახდენს, ასე რომ, უფრო მოქნილი პოლიტიკა უნდა გავატაროთ. გარდა ამისა ყველას აზრი გასათვალისწინებელია, რომელიმე ქვეყანამ რომ უარი განაცხადოს, პროექტი უმალ ჩაკვდება.“

ბარონის სიფრთხილე არცაა გასაკვირი, ტრადიციონალისტი ბრიტანელების, მითუმეტეს კი ინგლისელების ამბავი ყველას მოეხსენება. ნებისმიერი ცვლილება და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პრინციპების რღვევა — რაც უნდა უწყინარ ხასიათს ატარებდეს — მათთვის ზოგჯერ სრულიად მიუღებელი რამაა.

„ჩვენ გაგებით უნდა მოვეკიდოთ ნებისმიერ ცვლილებას, თუ ის დადებით დივიდენდებს მოიტანს, მაგალითად, შეარბილებს მორაგბეთა დატვირთვას — განაგრძობს ბარონი — დღეისათვის სიტუაცია ასეთია: საკლუბო ჩემპიონატები კარგა ხანია, გახურებულია და ამ დროს ნაკრებებს საშემოდგომო ტესტ-მატჩები უწევთ. ამის შემდეგ კი „ექვსი ერი“ იწყება და მისი ზოგიერთი თამაში ისევ საკლუბო ასპარეზობებს ეჩხირება ცუდად.“

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ინგლისის სარაგბო მამები ზოგადად ცვლილებას მხარს უჭერენ, პრობლემა კი ისაა, რომ IRB უკვე მომდევნო თვეში აპირებს კონფერენციის მოწვევას და საერთაშორისო კალენდრის დამტკიცებას. სწორედ ამას არ ეთანხმება ფრენსის ბარონი.

„ძალიან მაღელვებს დროის სიმცირე, ვერ გამიგია რა საჭიროა ასეთი აჩქარება. ჯერ ხომ კოლოსალური სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი და ვფიქრობ, ასეთი პატარა ვადის მოცემა მართებული არაა.“

**ლადო ჭულუქიძე**



ექვსი ერის ჯახებმა იქნებ ორი თვით დაიგვიანონ

ჰოკეი

# ლიგა სულს ლაფავს

## ლოკაუტმა სეზონი შეიწირა

**ლოკაუტის** მესამე კვირა მიილია, მაგრამ ჯერჯერობით საქმე არ იძვრის. გასული დღეების მთავარი მოვლენა ის გახლდათ, რომ ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა ოქტომბრის ყველა მატჩი გააუქმა. ცხადია, ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, მაგრამ ამ ნაბიჯის არსი ის იყო, რომ ლიგას მოთამაშეთა პროფკავშირებზე მოეხდინა ზეწოლა — მოთამაშეები ოქტომბრის ხელფასებს ვერ მიიღებენ და ეგებ დაფიქრდნენ, ღირს თუ არა გაფიცვა. ვინ იცის, ეგებ გონს მოვიდნენ და პროფკავშირის ლიდერებს კომპრომისისკენ უბიძგონო.

მაგრამ ლიგის ამ ნაბიჯს მოთამაშეთა ასოციაციაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. პროფკავშირების დირექტორ ტედ სასკონის თქმით, ლიგა ძალიან ცდება, თუ ამგვარი ქმედებით აპირებს პროფკავშირების შეშინებას. „კაპიტულაციაზე არც 10 წლის წინ ვფიქრობდით და ეს არც ახლა მოგვსვლია აზრად. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის“ — განაცხადა მისტერ სასკინმა და დასძინა, რომ ევროპაში ნჰლ-ელთა რაოდენობის ზრდა ძალიანაც აზარებს. ეს გასაგებიცაა. ჯერ ერთი, ასოციაციას სარეზერვო ფონდი აქვს და ჰოკეისტებს მშვივრებს არავინ დატოვებს. მეორეც — ბებერი კონტინენტის კლუბებში მათ საშუალოდ 150-200 ათას დოლარ ხელფას სთავაზობენ, ზოგის ჯამაგირი კი ნჰლ-ს ტარიფებს უახლოვდება. მაგალითად, ამბობენ ილია კოვალჩუკი „აკ ბარსში“ 3 მილიონს მიიღებს, თუ ყაზანში მთელ სეზონს დარჩებაო.

მიხვდებოდით, რომ ევროპული ვარიანტი ძალიან უწყობს ხელს ასოციაციას, ლიგის ბოსებს კი გვარიანად ანერვიულებს. დღესდღეობით ევროპაში უკვე 200 ჰოკეისტი თამაშობს. ბოლო დღეებში ოკეანის აქეთ აღმოჩნდნენ ალექსი ტანგეი და რიხარდ ზედნიკიც. პირველმა, კოლორადოს ერთ-ერთმა ლიდერმა, შვეიცარულ „ლიჟონსთან“ გააფორმა კონტრაქტი, ზედნიკი კი მშობლიურ, სლოვაკურ „ზვოლენში“ დაბრუნდა. ყველაზე მეტი — 50 ჰოკეისტი ჩეხეთში თამაშობს, ხოლო საერთო ჯამში ნჰლ-ის მოთამაშეები უკვე ევროპის 16 (!) ქვეყანას მოედვნენ, მათ შორის — დიდ ბრიტანეთს, პოლონეთსა და ჰოლანდიას.

და ბოლოს — ვრცელდება ხმები, რომ ნჰლ-ში სრული სეზონი გაუქმდება. „ტორონტო სანის“ ინფორმაციით, თუ მხარეები იანვრის შუა რიცხვებამდე არ შერიგდებიან, სეზონი აღარ ჩატარდება. ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არავის დაუდასტურებია.

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. IV ტური

**I ჯგუფი**

ანდორა 1:0 მაკედონია
სომხეთი 0:3 ჩეხეთი
ჰოლანდია 3:1 ფინეთი

**III ჯგუფი**

ლატვია 2:2 ესტონეთი
ლუქსემბურგი 0:4 ლიხტენშტაინი
პორტუგალია 7:1 რუსეთი

**IV ჯგუფი**

ირლანდია 2:0 ფარერები
კვიპროსი 0:2 საფრანგეთი

**V ჯგუფი**

ნორვეგია 3:0 სლოვენია
მოლდოვა 1:1 შოტლანდია
იტალია 4:3 ბელარუსი

**VI ჯგუფი**

აზერბაიჯანი 0:1 ინგლისი
ჩრდ. ირლანდია 3:3 ავსტრია
უელსი 2:3 პოლონეთი

**VII ჯგუფი**

სერბეთი 5:0 სან მარინო
ლიტვა 0:0 ესპანეთი

**VIII ჯგუფი**

ბულგარეთი 4:1 მალტა
ისლანდია 1:4 შვედეთი

# ჯუჯების ჯეჯილი
## იარცევის ბლია-ბლია

**გუშინდელმა** დღემ ევროპაში იმდენი სენსაციური შედეგი დააფიქსირა, რომელ ერთზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, ღმერთმანი, ასარჩევად ცოტა საძნელო საქმე კია.

თუმც, რაღა არჩევაზეა ლაპარაკი, როცა უამრავ ქართველს, ჩვენი ნაკრების მარცხის მიუხედავად, მაინც მოეფონებოდა გულს რუსთა განადგურება პორტუგალიაში, ლისაბონის „ჟოზე ალვალადეზე“ — 1:7 ლუიშ ფელიპე სკოლარის მაგრად დაქოქილ ბიჭებთან.

იმდენი იძახა წუხელ ტელეკომპანია OPT-ს წამყვანმა, ჩვენ ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის შესარჩევში მოსკოვურ „ლუჟნიკებზე“ პორტუგალიელები 5:1 გვყავს გამწარებულიო, რომ ეუსებიოს, კოლუნას, ფიგუს და რუი კოშტას ქვეყნის შვილებმა სულ ცხვირში ძმრად ადინეს ძველი „წარმატება“.

რუს წამყვანსაც სხვა რა გზა ჰქონდა, ურცხვად მაინც გაამართლა თანამემამულეები — აშკარად ლომის დიდ ხახაში ჩავვარდით, პორტუგალიელებმა ოთხი დღის წინ ლიხტენშტაინთან სენსაციური 2:2 რომ გააგორეს, ახლა ჯავრი ჩვენზე იყარესო.

ისე, ერთ რამედ კი ღირდა რუსთა გაცეცხლებული მწვრთნელის, გეორგი იარცევის ნამოქმედარის ნახვა — 89-ე წუთზე ბენფიკელმა არმანდუ პეტიტმა მეექვსე რომ შეაგდო, იარცევმა სათადარიგოთა სკამი სულ „ბლიად, ბლიად“-ის ძახილით მიატოვა.

ნამეტანი ანტირუსული რომ არ გამომივიდეს, ვაღიარებ, რომ ერთი კაცი მაინც შემეცოდა — მეკარე ვიაჩესლავ მალაფეევი, ზენიტელმა გოლკიპერმა შვიდი ბურთიდან ხუთი შორეული დარტყმებით გაუშვა.

ახლა კი უფრო სხვა, შედარებით „რბილი“ სენსაციებიც ვნახოთ და მოკლედ ვთქვათ: ანდორა — მაკედონია 1:0, ლუქსემბურგი — ლიხტენშტაინი 0:4, ჩრდილოეთ ირლანდია — ავსტრია 3:3 და ლიტვა — ესპანეთი 0:0.

ძაან მაგარი თამაში იყო ვილნიუსში, სადაც ალგიმანტას ლიუბინსკასის შეგირდებმა სახელიან პირინეელებს არაფერი დაუთმეს და ოდნავ იღბალიც რომ ჰქონოდათ, რაული და კომპანია სახლში ეგებ კუდამოძუებულნი გაეშვათ.

ლიხტენშტაინის ნაკრებმა კი ასე თუ გააგრძელა... ცხადია, ლუქსემბურგის დამარცხებას დიდი გმირობა არ უნდა, მაგრამ თვითონ შედეგია მრავლისმეტყველი. ჯუჯა ლიხტენშტაინელებმა პორტუგალიელებთან ფრეს, გუშინ ისტორიაში პირველი დიდი ანგარიშით მოგება მიაყოლეს.

ისტორიაში პირველად მოიგო მეორე ჯუჯამაც, ანდორამ მაკედონია მარკ ბერნაუსის მე-60 წუთზე გატანილი თავურით დაამარცხა.

ჭახა-ჭუხი ისმოდა ბელფასტის „უინძორ პარკზე“, სადაც ჩრდილოირლანდიელებმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე სტიუარტ ელიოტის გატანილით ჯიბიდან სამი ქულა ამოაცალეს ლეგენდარული ჰანს კრანკლის გაწვრთნილ ავსტრიელებს.

კრანკლიც ვერშენარჩუნებულმა უპირატესობამ გააცოფა და როგორც გუშინვე გახდა ცნობილი, გასახდელშივე დარევია შეგირდებს, რა თქმა უნდა, მწარე-მწარე სიტყვებით ანუ გინებით.

**გიორგი გაჩეჩილაძე**



REUTERS ლისაბონიდან

ლუიშ ფელიპე სკოლარი გეორგი იარცევს ალბათ სამსახურს დააკარგვინებს



REUTERS ბაქოდან

აზერბაიჯანი — ინგლისი. მაიკლ ოუენმა გამარჯვებისა ასე გაიტანა



REUTERS ნიქოზიიდან

კვიპროსი — საფრანგეთი. ტიერი ანრიმ სანაკრებო გოლის გემო კვლავ გაიხსენა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. V ტური

**I ჯგუფი**

ლაოსი 2:3 იორდანია
ყატარი 2:3 ირანი

**II ჯგუფი**

ერაყი 1:2 უზბეკეთი

**III ჯგუფი**

სინგაპური 2:0 ინდოეთი
ომანი 0:1 იაპონია

**IV ჯგუფი**

ჰონკონგი 2:0 მალაიზია
ქუვეითი 1:0 ჩინეთი

**V ჯგუფი**

ჩრდილოეთ კორეა 2:1 იემენი
ტაილანდი 3:0 საამიროები

**VI ჯგუფი**

ტაჯიკეთი 2:1 ყირგიზეთი
სირია 2:2 ბაჰრეინი

**VII ჯგუფი**

მალდივი 3:0 ვიეტნამი
ლიბანი 1:1 სამხრეთ კორეა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. X ტური

პარაგვაი 1:1 პერუ

*ჩილე — არგენტინა და ბრაზილია — კოლუმბია წუხელ გვიან დამთავრდა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ბაქოდან

# ჯეფრი და ტოფიკი

გუშინ ბაქოში დიდი თამაში იყო, აზერბაიჯანი ინგლისს მასპინძლობდა, გუშინწინ კი, „ბახრამოვის" სტადიონზე მაიკლ ოუენი ერთგვარად გაოცებული შესცქეროდა სამ ბაქოელ პოლიციელს, რომლებსაც, ერთდროულად დაეძროთ მობილურები და ინგლისელ ვარსკვლავს ფოტოებს უღებდნენ. „ბახრამოვის" სტადიონის წინ კი, თავად განთქმული მსაჯის ტოფიკ ბახრამოვის ძეგლთან ღრმად სიმბოლურად, ნიკეს თასის ასლით იდგა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის გმირი ჯეფ ჰერსტი, რომლის გოლმაც ჩემპიონატის ბედი გადაწყვიტა. ის გოლი კი ფინალში გვერდით მსაჯად მყოფმა ბახრამოვმა მიიჩნია უდაოდ. ინგლისი ჩემპიონი გახდა, ჰერსტი ფინალების ისტორიაში ერთადერთი ჰეთ თრიქის ავტორი და დედოფლის კარის რაინდი, ხოლო ბახრამოვი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთადერთი კაცი, ვინც უდავად დაადასტურა — ჰერსტის დარტყმული და ძელიდან ასხლეტილი ბურთი ხაზს იქეთ დაეცაო.



# ხალისი საბრალოთათვის

განთქმული მეგოლფე სერხიო გარსია გონებასუსტ გოგონას გოლფის თამაშს ასწავლის. ბალეარის კუნძულებზე საგოლფე ტურნირი „მალიორკა კლასიკი" იწყება და მის პროგრამაში ამგვარი კეთილი რამეც იგულისხმება.


REUTERS ბაქოდან



# კაიზერი ბულგარეთში

სოფიაში ერთი დღით ჩასულა ფრანც ბეკენბაუერი და საქველმოქმედო ამბავიც გაუწევია. კაიზერს სკოლებში ბურთები და სამოსი დაურიგებია, სახალხოდ კი ავტოგრაფები.


REUTERS სოფიიდან

# ისევ ჩასახუტებლად

ბრაზილიელ გულშემატკივრებს რაღაც წარმოუდგენელი სურვილი ჰკლავთ თავიანთი ფეხბურთელების დაკოცნისა. ეს კაციც იმიტომ გადმოხტა საფარჯიშო მინდორზე, რომ ნაკრების ფეხბურთელები ჩაეკოცნა კოლუმბიასთან მატჩის წინ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ჭელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge